ყოველდღიური გაზეთი

# ახალი თაობა

Akhali Taoba

**თემურ ბასილიას უკანონო მსჯავრდების გადახედვის საქმეზე სს „ინტელექტბანკის" ხელმძღვანელი პირები დაიკითხნენ**



გვ.4

**10 ნოემბრიდან**

ანდრეს ინიესტა

**შემოქმედი**

ფასი გაზეთთან ერთად 16 ლარი



შაბათი – კვირა, 11 – 12 ნოემბერი, 2017

№268 (7503)

ფასი: 50 თეთრი

# თბილისის მერიაში დაჭერები დაიწყება?



გვ.3

საკადრო ცვლილებების შესახებ ცნობილი 13 ნოემბერს გახდება. სწორედ ამ დღეს შეუდგება კალაძე ოფიციალურად მერის მოვალეობის შესრულებას. ნარმანიას მოადგილეები ლაშა აბაშიძე, გიგა ნიკოლეიშვილი, ნინა ხატისკაცი, ნატო ქიტიაშვილი თანამდებობებს ოფიციალურად დატოვებენ.

## „ნარმანიამ მერობა ფეშქაშად მიიღო, კალაძემ კი მოიპოვა"

„ნარმანია, ყველაზე უღიმღამო მერი. ასე ჩაიწერება თბილისის ისტორიაში"

გვ.3



## რამაზ საყვარელიძე: „ბავშვს აზროვნება უნდა ასწავლო და არა – დამახსოვრება"



გვ.2

## „ლარის კურსი ისე დარბის, როგორც ძიძიგური დარბოდა პარტიიდან პარტიაში"



ბეჟან ნათელაშვილი: „ივანიშვილი პოლიტიკიდან გლდანის ციხეში უნდა წავიდეს"

გვ.4

## ჯემალ გამახარია: „ქართველები აფხაზეთში ისე ცხოვრობენ, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში"



გვ.5

### სამართალი

გვ.5



**კახეთში მეზობელმა 30 წლის ინვალიდი ქალი გააუპატიურა – ქალი რამდენიმე თვის ორსულია**

**ისრაელში ქართველი არალეგალების შეყვანისთვის ორი პირი დააკავეს**





**ადვოკატი: „ბოლქვაძე შეყილაძესა და ხიდურელს არწმუნებდა, რომ ფულს ვინმე ნიაზისგან ელოდა"**

**ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობის საქმეს პროკურატურა გამოიძიებს**



### ეკონომიკა

გვ.6



**კალაძე „სითი პარკს" სასამართლოში უჩივლებს**



**ნინო ჩხობაძე: „თუ ყურძენს ფაროსანა შეერია, ის ღვინო აღარ ვარგა"**



**„2020 წელს 220-ლარიანი პენსიის მსყიდველუნარიანობა შარშანდელზე 2-ჯერ ნაკლები იქნება"**

ISSN 1987-9385

2 **სოხუმში ნაურუს პრეზიდენტი ჩადის**

6 **კანონპროექტის განხილვა, რომელიც მიწების მორატორიუმზე ბანკების საკითხს არეგულირებს, შეჩერებულია**

5 **ზვიად მ. თვითმკვლელობის მუქარით 13 წლის გოგონასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა**

6 **„დეპოზიტების დაზღვევა ბანკებს დიდ ხარჯად არ დააწვება"**

# რამაზ საყვარელიძე: „ბავშვს აზროვნება უნდა ასწავლო და არა — დამახსოვრება“

ნონა ცაბაძე

**პირველიდან მეექვსე კლასის ჩათვლით მომავალი სასწავლო წლიდან სკოლის მოსწავლეებს ახალი სახელმძღვანელოები ექნებათ. სახელმწიფოს ყოველივე ეს 23 მილიონი ლარი დაუჯდება. რა უნდა შეიცვალოს სახელმძღვანელოებში და რატომ არ ვარგა ჩვეული სახელმძღვანელოები? – „ახალი თაობის“ ამ და სხვა კითხვებს ფსიქოლოგი, ლექტორი რამაზ საყვარელიძე პასუხობს.**

*– ბატონო რამაზ, როგორი უნდა იყოს ახალი სახელმძღვანელოები?*

– ამჟამად რა ხდება, არ ვიცი. ძალიან ხშირად დაუჩივლიათ მშობლებს და არა მარტო დაწყებითი კლასების მოსწავლეების მშობლებს, რომ სახელმძღვანელო კითხვადი არ არის. ეს უკვე გულისხმობს პირველ მოთხოვნას, რომ კითხვადი უნდა იყოს.

*– ამაში რა იგულისხმება?*

– წიგნის ენა გასაგები უნდა იყოს იმ ასაკის ბავშვისთვის, რომელიც მოიხმარს ამ სახელმძღვანელოს. ასევე გააჩნია, ასაკის მიხედვით ილუსტრაციები, დავალებები რა ტიპისაა. დაბალ კლასებში ილუსტრაციები მეტი უნდა იყოს, მაგრამ ეს არც მაღალ კლასებს აწყენს, რადგან თვალსაჩინო მასალა ხელს უწყობს ყოველთვის დამახსოვრებას. თუმცა მთავარია შინაარსი.

*– გადატვირთულია არსებული სახელმძღვანელოები?*

– ძირითადი პრეტენზიები სწორედ ეს არის, რომ შინაარსი გაუგებარია, ძალიან გადატვირთულია. როდესაც სახელმძღვანელო გადატვირთულია, კი ჩაიტენის ბავშვი თავში ინფორმაციას, მაგრამ მალე აღარ ემახსოვრება. ამიტომ შერჩევა სჭირდება ამ მასალას საიმისოდ, რომ საკვანძო დატოვო და ზედმეტის დასწავლა არ მოუწიოს ბავშვს.

*– რამდენად იქნება გაზიარებული დასავლეთის გამოცდილება ამ თვალსაზრისით?*

– დასავლეთს თუ შევხედავთ, იქ იმდენად გაიოლებულია ყველაფერი, რომ მათ ფონზე ჩვენი ბავშვები გენიოსებად შეიძლება მოგეჩვენოს. ეს შემთხვევითი არ არის. სწორედ ამ პრინციპიდან არის გამომდინარე, რომ ჯობია აზროვნება ასწავლო ბავშვს და არა – დამახსოვრება. ამიტომ ჯობია, მასალა ნაკლები იყოს და აზროვნების უნარი მივცეთ ბავშვებს. ბავშვს უნდა დავუტოვოთ ფანტაზიის უნარი. ეს არის თანამედროვე პედაგოგიკის პრინციპები.

*– ამჟამინდელი განათლების მინისტრისგან არაერთხელ მოგვისმენია განცხადებები, რომ საზეპიროები, ლექსების დაზუთხვა არ არის აუცილებელი. არ სჭირდებათ მოზარდებს ლექსების დაზეპირება?*

– ლექსს სხვა ფუნქცია აქვს, ჯერ ერთი, ლექსი დასაზეპირებლად უფრო ადვილია, მეორეც, მეხსიერებასაც ვარჯიში სჭირდება. ასე კატეგორიულად იმის თქმა, რომ საზეპირო არაფერი არ იყოს, არ ვთვლი, რომ სწორია. აქაც გასარკვევია, რა ასაკთან გვაქვს საქმე და როგორია პედაგოგიური ამოცანა. რაღაცა დოზით მეხსიერება უნდა დაიტვირთოს, ოღონდ არ უნდა გადაიტვირთოს.




*– სახელმძღვანელოები იცვლება პირველიდან მე-6 კლასის ჩათვლით. ეს არის პირველი საფეხური, როდესაც ყალიბდება მოსწავლის ცნობიერება. ახალი სახელმძღვანელოების შექმნას დიდი შრომა და გამოცდილება დასჭირდება. რას ურჩევთ, ძირითადად რაზე უნდა გამახვილდეს ყურადღება?*

– სხვადასხვა საგანში სრულიად სხვადასხვა მიდგომაა. ამ წლების სპეციფიკა ის არის, რომ ბავშვი საბავშვო ბაღიდან გადადის სკოლაში. დასაწყის წლებში პრინციპი იგივე უნდა დარჩეს.

*– როგორი?*

– სახალისო უნდა იყოს მისთვის სწავლის პროცესი, წიგნთან ურთიერთობა, ისევე, როგორც სახალისოა მისთვის თამაში. სწორედ ასე უნდა იყოს საწყის ეტაპზე. ეს ხალისი რომ მიეცეს პროცესს, სწორედ მაგიტომაა ბევრი ილუსტრაცია საჭირო, დამოუკიდებელი მუშაობა ბავშვისა ამ ილუსტრაციებზე, რომ თვითონ შექმნას თავისივე ცოდნა. მომდევნო ორი წლის მერე, როდესაც ენა შემოდის უფრო მყარად და აზროვნებას აწყებინებ არა ხატოვანს, არამედ ცნებითს, მერე მეტი ასპარეზი ეძლევა პედაგოგიურ მასალას. თუმცა აქაც პედაგოგიური პრინციპია გასააზრებელი.

*– რას გულისხმობთ?*

– ახლახან შემოიღეს ეს პრინციპი, რომ დავიწყოთ რაც შეიძლება აბსტრაქტულიდან, რადგან ბავშვს აზროვნება ძალიან განვითარებული აქვს. ეს არ არის სწორი მიდგომა, ბავშვმა რომ ელემენტარული არითმეტიკა არ იცის, პირდაპირ ალგებრით არ უნდა დაიწყოს. მარტივიდან რთულისკენ უნდა წავიდეს პროცესი. რომელია მარტივი ბავშვისთვის – აბსტრაქტული თუ კონკრეტული? სასურველი იქნება, რომ ამ მიმართულებით კვლევები ჩატარდეს და ეს კვლევებით დადგინდეს.

*– თქვენ დასავლეთის პრაქტიკა და გამოცდილება ახსენეთ. რამდენად იქნება ეს ყველაფერი გაზიარებული?*

– ბავშვი საოცარი არსებაა. ის კომპიუტერს ეუფლება საოცარი ეფექტურობით. დიდები ვერ ახერხებენ იმას, რასაც – ბავშვები. ერთ-ერთი გასაღები ამ უნარისა იმაშია, რომ კომპიუტერი, ერთი მხრივ, თვალსაჩინოა, ეკრანულია და, მეორე მხრივ, ბავშვი მუშაობს საკუთარი ხელებით. მას ეს პროცესი მოსწონს და უფრო უკეთ შეუძლია. ეს სურვილი, რომ თვითონ აკეთოს ყველაფერი, უნდა იყოს მაქსიმალურად გამოყენებული იმ წლებში, როცა იწყება სწავლა. როგორც კომპიუტერია სახალისო და ვერ სწყვეტენ ბავშვს კომპიუტერს, თვითონ სასწავლო პროცესი უნდა მოიცავდეს ამ თვისებებს, რის გამოც კომპიუტერი მოსწონს ბავშვს.

*– კომპიუტერზე მიჯაჭვულობა სერიოზულ პრობლემად იქცა. რამდენად არის შესაძლებელი, რომ კომპიუტერი წიგნით ჩანაცვლდეს, რომ იყოს ასეთივე საინტერესო სწავლის პროცესი?*

– ამ მიმართულებით კვლევები რომ გაგრძელდეს და რომ გავიგოთ, რატომ არის ასეთი მიმზიდველი კომპიუტერი, ჩვენ შევქმნით უკვე სიტუაციას არა კომპიუტერულს, რომელიც ისეთივე მიმზიდველი იქნება, ანუ იმის კანონზომიერებას თუ გამოვიყენებთ უკვე ახალი პედაგოგიური პროცესისთვის. ასეთი გზა ლოგიკურია და შესაძლებელია, მოეძებნოს ამ პრობლემას გასაღები. ასეთი კვლევები უკვე ბევრ ქვეყანაში მიმდინარეობს.

*– მეტი სიახლეა საჭირო სახელმძღვანელოებში, რომ მიიზიდონ ბავშვები?*

– მეტი სიახლე და ისეთი პირობები, რომლებშიც მას დამოუკიდებლად მოქმედება შეეძლება. ბავშვი თავად უნდა იყოს თავისი მუშაობის ავტორი. მასალა არ უნდა იყოს რთული და უნდა მოდიოდეს ასაკთან შესაბამისობაში.

კომპიუტერს ეს პლუსიც აქვს. კომპიუტერში ამოცანები ადვილია, კომპიუტერთან ურთიერთობა მას არ უჭირს, იმიტომ, რომ ის ახერხებს, ყველა კომბინაცია დაძლიოს. იქ რომ დაუძლეველი იყოს პრობლემა, მაშინ კომპიუტერსაც ზურგს შეაქცევდა. შესაბამისად, აქაც უნდა იყოს დაძლევადი, მიღწევადი, ოღონდ რაც შეიძლება მეტი ადგილი დაეთმოს იმას, რომ ბავშვმა თვითონვე მიაღწიოს იმ შედარებით იოლი პრობლემის გადაწყვეტას, რომელსაც პედაგოგი ჩაიფიქრებს. ეს მიღწევადობა ძალიან მნიშვნელოვანია ნებისმიერ საქმეში.

*– ანუ სერიოზული სამუშაო აქვს ჩასატარებელი განათლების სამინისტროს და ზოგადად სახელმწიფოს ამ კუთხით?*

– ძალიან სერიოზული, რადგან ძალიან მნიშვნელოვანია ის, რაც ბავშვს ეხება. თითოეულ მშობელსაც სერიოზული სამუშაო აქვს, რომ აღჭურვო ბავშვი ისეთი ცოდნით, რომელიც მას მომავალში დასჭირდება მასწავლებლის მხრიდან. ჩვენი ერთ-ერთი პრობლემა ის არის, რომ ოჯახი არ უშვებს ხშირად იმ დონეზე მომზადებულ ბავშვს თვითონ ოჯახიდანვე, რომ მერე სკოლა ამ ცოდნას დაეყრდნოს.

ასე რომ, ჩვენ ეს პრობლემაც გვაქვს, ოჯახის განათლების პრობლემაც გვაქვს, გარდა სასკოლო განათლების პრობლემისა. ამ მხრივ ოჯახებსაც ისევ განათლების სამინისტრო უნდა დაეხმაროს სხვადასხვა გზით.

# სოხუმში ნაურუს პრეზიდენტი ჩადის

## რისთვის გადაუხადა ასადმა მადლობა ხაჯიმბას

შორენა მარსაგიშვილი

**12 ნოემბრის აფხაზეთში დიდი ამბები დატრიალდება – სოხუმს ოფიციალური ვიზიტით ნაურუს სამთავრობო დელეგაცია ეწვევა. დელეგაციას ქვეყნის პრეზიდენტი ბარონ ვაკა ხელმძღვანელებს.**

აფხაზური მედიის ინფორმაციით, 12 ნოემბერს ბარონ ვაკას რაულ ხაჯიმბა შეხვდება.

– შეხვედრაზე განხილული იქნება აფხაზეთისა და ნაურუს ორმხრივი თანამშრომლობის პერსპექტივები, – აცხადებენ ხაჯიმბას ადმინისტრაციაში.



აფხაზეთის პრეზიდენტის ოფიციალური გვერდის ინფორმაციით, ნაურუს დელეგაციის შემადგენლობაში სხვა ოფიციალური პირებიც იქნებიან. ხაჯიმბასთან შეხვედრის პატივი ექნება ნაურუს პარლამენტის წევრს, ერთდროულად განათლებისა და ჯანდაცვის მინისტრ ჩარმინ სკოტს. სოხუმში ასევე ჩავა დეპუტატი და შეთავსებით პრეზიდენტის წარმომადგენელი მილტონ დიუბი. ნაურუს დელეგაციას გაეროში მისი წარმომადგენელი მარლენ მოუზესიც დაამშვენებს.

აფხაზური მედიის ინფორმაციით, ნაურუელებისთვის ეს სოხუმში მესამე ოფიციალური ვიზიტი იქნება. ნაურუელმა ჩინოსნებმა ოკუპირებული აფხაზეთი პირველად გასულ წელს იხილეს.

2016 წლის სექტემბერში სოხუმში ნაურუს საპარლამენტო დელეგაცია ჩავიდა. დელეგაციას პარლამენტის სპიკერი სირილ ბურამანი ხელმძღვანელობდა.

ნაურუს ლომებმა აფხაზეთი მეორედ მიმდინარე წლის აპრილში დალაშქრეს. მაშინ მათ სამთავრობო დელეგაციას ადეანგ დავიდ უაია ხელმძღვანელობდა.

ნაურუელთა მესამე ოფიციალური ვიზიტი აფხაზეთში 13 ნოემბერს დასრულდება.

....

ნაურუელებამდე აფხაზები სირიელებმა გააბედნიერეს. ბაშარ ალ ასადს ჯერ სოხუმში ჩასასვლელად არ სცალია, მაგრამ აფხაზთა ლიდერთან მადლობის წერილი აფრინა.

აფხაზური მედიის ცნობით, ასადმა ხაჯიმბას სამადლობელი წერილი გამოუგზავნა. პირველი სირიელი პირველ აფხაზს მადლიერი დაბადების დღის მილოცვის გამო დაურჩა.

დაბადების დღე ასადს 11 სექტემბერს ჰქონდა. ან ხაჯიმბას წერილმა ჩააღწია იქ გვიან, ან ასადს დააგვიანდა.

– როდესაც წავიკითხე თქვენი გზავნილი, მივხვდი, რომ თქვენ მშვენივრად ხართ გათვითცნობიერებული იმის შესახებ, თუ რა ხდება ჩემს ქვეყანაში, განსაკუთრებით იმ საკითხში, რომელიც ეხება საშინელ თავდასხმებს სახელმწიფოებისგან,



რომლებიც ახორციელებენ განადგურების პოლიტიკას, მიმართულს თავისუფალი ერების მიერ საკუთარი ნების გამოხატვის წინააღმდეგ, იმის ნაცვლად, რომ აწარმოონ ცივილიზებული დიალოგი თანამშრომლობის შესახებ ტერორისტული მუქარის გარეშე. ჩვენ ძლიერ ვაფასებთ თქვენს პოზიციას ჩვენი არმიის მიმართ, აგრეთვე თქვენს შეფასებას, რომელსაც აძლევთ ჩვენი შეიარაღებული ძალების წარმატებებს ტერორიზმთან ბრძოლაში. გამოვხატავ მადლიერებას მხარდაჭერისთვის იმ კრიზისის გადაწყვეტის საქმეში, რომელიც ჩემს ქვეყანას შეეხო, – წერს ასადი მადლიერების ცრემლებით დასველებულ სამადლობელ წერილში.

ახალი თაობა
გაზეთი გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან

დამფუძნებლები: ნინო ბაკურაძე, ზურაბ ბერიძე, სოსო გოგინაშვილი
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
რედაქტორის მოადგილე – შორენა მარსაგიშვილი

კონსულტანტები
ოთარ ნინიაშვილი, დავით ყიფიანი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე

სარეკლამო სამსახური – 2-94-02-55
გავრცელების სამსახური – მერაბ ლევერაშვილი
დირექტორი – ზურაბ ბერიძე

დაკაბადონება – ინგა დვალიშვილი, ნონა კანდელაკი, მზია ქოქაშვილი

მისამართი: ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50, მე-3 სართული.
ტელეფონი/ფაქსი 2–94-06-91
ვებ-გვერდი www.akhalitaoba.ge E-mail: axtaoba@mail.ru
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

# სოსო ცინცაძე: „ნარმანიამ მერობა ფეშქაშად მიიღო, კალაძემ კი მოიპოვა“

ნათია ხურცილავა

**პოლიტოლოგი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან" ინტერვიუში დავით ნარმანიას ყოფილ და კახა კალაძის მომავალ საქმიანობაზე საუბრობს.**



## „ნარმანია, ყველაზე ულიმღამო მერი. ასე ჩაიწერება თბილისის ისტორიაში“

***— ბატონო სოსო, 13 ნოემბრიდან კახა კალაძე თავისი მოვალეობის შესრულებას შეუდგება. არ არის გამორიცხული, რომ „სითი პარკთან“ დადებული ხელშეკრულება გადაიხედოს. თავის დროზე ნარმანიამაც დააანონსა აღნიშნული ხელშეკრულების გადახედვა, თუმცა ვერ შესრულდა. რამდენად რეალურია, რომ კალაძე წარმატებული მერი იყოს?***

— კახა კალაძემ პირველი ნაბიჯით თავისი რეპუტაცია სასწორზე შეაგდო. „სითი პარკთან“ დაპირისპირება არ არის მარტივი საქმე. კალაძე ან მოიგებს ამ ბრძოლას, ან წააგებს, ამიტომ ეს არის უკვე პრინციპული საკითხი. შეიძლება ვთქვათ, ის ან ნარმანიას ბედს გაიზიარებს და თავის პოლიტიკურ კარიერას დაასრულებს, ან, პირიქით, შეიძლება, ყველაზე წარმატებული ლიდერი იყოს. ამისთვის მას ყველა სასტარტო პირობა აქვს. ამ გზაზე ბრძოლას იწყებს კაბალურ კომპანია „სითი პარკთან“. ამით ის თავის ამომრჩეველს, საზოგადოებას ეუბნება, რომ მას არ აშინებს არავითარი დაბრკოლება. თქვენ სწორად აღნიშნეთ, თავის დროზე ნარმანიამაც დაიწყო „სითი პარკით“, მაგრამ მერე ვნახეთ, რომ თავისი სიტყვები უკან წაიღო. ეჭვი არ მეპარება, რომ ის უფრო პრინციპული იქნება. ახლა ბევრი რამე დამოკიდებული იქნება იურისტებზე, მათ კვალიფიციურ მომსახურებაზე. მე ვურჩევდი, რომ მხოლოდ შიდა, მერიის წარმომადგენელ იურისტებს არ ენდოს და გარეთ, გნებავთ, ქვეყნის გარეთაც გაიაროს კონსულტაციები.

***— ასეთი მნიშვნელოვანია?***

— რასაკვირველია. თქვენ წარმოიდგინეთ, რომ კომპანია მხოლოდ ცალმხრივი ვალდებულებით, ყოველგვარი თამაშის წესების გარეშე მოქმედებს. არ მეგულება საქართველოში მოქმედი არცერთი უცხოური კომპანია, რომელსაც ასეთი ცუდი რეპუტაცია ჰქონდეს. ეს კომპანია სხვა ნებისმიერ ქვეყანაში რომ მოქმედებდეს, ის ქვეყანა ამას გამოწვევად მიიღებდა. ეს კომპანია იღებს, მაგრამ სანაცვლოდ არაფერს გასცემს. ეს ბიზნესი არ არის, არც რეკეტია. ეს უკვე არის საზოგადოების დამცირება, თავზე დაჯდომა, უხეშად რომ გითხრათ. მას შეუძლია, ჩემი საკუთრება მოიტაცოს, წამართვას, ამაში ფულიც გადამახდევინოს და თვითონ არავითარი ვალდებულება არ აქვს. მახსოვს, როდესაც 25-ლარიანი ჯარიმა 50 ლარი გახდა, პირადად გიგი უგულავამ მითხრა, ეს იმიტომ, რომ მათ ვალდებულება აქვთ, მიწისქვეშა პარკინგები უნდა ააშენონ, ინფრასტრუქტურა უნდა გამართონ და შესაბამისია გადასახადიცო. თქვენ შეგიძლიათ, მათი აშენებული პარკინგი დამისახელოთ?! მართალია, ის ხელშეკრულება გასაიდუმლოებულია, გეგონება, სახელმწიფოს უსაფრთხოებაზეა დადებული, მაგრამ, გამორიცხულია, ცალმხრივი ვალდებულება ყოფილიყო ჩადებული. ასეთი უტიფრებიც არა მგონია ყოფილიყვნენ. თუ ასეა, მაშინ დანაშაულთან გვაქვს საქმე.

***— ნარმანიამ თავისი სამწლიანი მუშაობა შეაჯამა. თქვენ როგორ შეაჯამებთ მის მუშაობას?***

— ნარმანია თავიდანვე განწირული იყო. განწირული იყო, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გვითხრა, მერობის კანდიდატი მყავს შერჩეული, მაგრამ თვითონაც არ იცისო. ეს ერთგვარი შეურაცხყოფა იყო. ნარმანიამ ეს თანამდებობა ფეშქაშად, საჩუქრად მიიღო, კალაძემ კი მოიპოვა. ეს განსხვავებაა. სამწლიანი მუშაობის შეჯამება, ანგარიში ხალხს და ა.შ. ეს არის ზრუნვა მომავალ დასაქმებაზე, ფიქრი იმაზე, რომ უმუშევარი არ დარჩეს.

***— ნარმანიას წინასაარჩევნო დაპირება, რაც ვერ შესრულდა, მაგრამ მიაჩნია, რომ შეასრულა, რა არის?***

— მილიონი ხე. ეს იყო ძალიან სერიოზული, მეტად საჭირო და მომხიბვლელი დაპირება, რაც არათუ ვერ შესრულდა, პირიქით, უზარმაზარი, ლამის ასწლოვანი ხეები მოიჭრა იმის სანაცვლოდ, რომ მორიგი ბეტონის კორპუსი ჩამდგარიყო. ხეები დავრგეთო და ჩითილები აღმოჩნდა დარგული, რაც ასევე გახმა. ეს იყო ყველაზე მიუღებელი, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრა.

***— ის დაპირება, რომელიც მართლაც შესრულდა?***

— რა გითხრათ, ალბათ რაღაცები გააკეთა, მაგრამ საკვანძო, მნიშვნელოვანი პროექტი ნარმანიას მერობის დროს არ დაწყებულა და არ დასრულებულა. თუ რამე დასრულდა, ეს სხვა დროს იყო დაწყებული, ანუ ნახევარი საქმე გააკეთა. ნარმანია ყველაზე ულიმღამო მერია და ასე ჩაეწერება თბილისის ისტორიაში.

***— კალაძისგან პირველ ნაბიჯებს რას ელოდებით, რომ თქვათ, კარგი დასაწყისია, კარგად იწყებს?***

— ინტერვიუს დასაწყისში რაზეც მკითხეთ, „სითი პარკის“ ულლისგან გათავისუფლება ერთ-ერთი კარგი ნაბიჯი იქნება. ეს ლიტონ განცხადებად თუ დარჩა, მაშინ ჩათვალეთ, რომ ერთი ბზარი უკვე გაუჩნდა. მეორე, უნებართვო მშენებლობები დედაქალაქის ცენტრში, ვაკეში, საბურთალოზე, ლამის ადამიანები რომ ველარ სუნთქავენ უკვე და ხალხი იხრჩობა, ფანჯრებს რომ ველარ აღებენ, ეს უნდა შეაჩეროს. მესამე, უნდა დაიდოს ქალაქის გენერალური განვითარების გეგმა, რასაც ნარმანია დაგვპირდა და რაც ასევე ვერ შეასრულა.

მეოთხე, საკვანძო საკითხი, ოპოზიცია რაზეც არის ჩასაფრებული, ეს არის ადამიანთა ის წრე, გუნდი, რომლითაც მან უნდა დააკომპლექტოს მერია. ვისზე გაკეთდება აქცენტი, პროფესიონალებზე თუ ნეპოტისტური, კლანური დაჯგუფებების ინტერესები გადაწონის? ეს ძალიან მნიშვნელოვანი საკითხია. ეს არის ის საკითხი, რომელიც შეიძლება კალაძის წარმატებისთვის გადამწყვეტიც კი აღმოჩნდეს. თუ ის აქცენტს ნეპოტიზმითა და ნაცნობ-მეგობრობით გააკეთებს, მაშინ დაასრულებს თავის კარიერას და ჯოკია ბოდოკიას ინციდენტი მონაგონი გახდება. ნახევრად ხუმრობით შემიძლია გითხრათ, არცერთი ფეხბურთელი არ უნდა აღმოჩნდეს მერიაში „სათამაშოდ“ მისული. ვნახოთ, პირველივე ნაბიჯებიდან გამოჩნდება, როგორი მერი იქნება კალაძე.

# თბილისის მერიაში დაჭერები დაიწყება?

შორენა მარსაგიშვილი

**მომავალი კვირიდან დედაქალაქს ოფიციალურად ეყოლება ახალი მერი. ნამერალი დავით ნარმანია საზეიმო ვითარებაში 10 ნოემბერს გააცილეს. გერმანიაში მისი ელჩად დანიშვნა გამოირიცხა. დედაქალაქის ყოფილმა თავმა ჟურნალისტებს უთხრა, რომ საზღვარგარეთ არ მიდის, საქართველოში რჩება და აქ გააგრძელებს მოღვაწეობას.**

მისი მომავალი სამოღვაწეო ადგილი ჯერ გამონახული არ არის. ბოროტი ხმები ამბობენ, რომ შესაძლოა მას დაკითხვებზეც მოუწიოს სიარულმა. კახა კალაძე დედაქალაქის მერიაში აუდიტის სამსახურის შეყვანას აპირებს. სხვათა შორის, რამდენიმე თვის წინ ნარმანიას კანდიდატურა აუდიტის სამსახურის უფროსადაც განიხილებოდა, მაგრამ ბოლო მომენტში ივანიშვილს გადააფიქრებინეს.

ახალ მერს, როგორც წესი, მერიაში ახალი გუნდი მიჰყავს. დიდ საკადრო ცვლილებებს გეგმავს კახა კალაძეც. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, მერიაში, ირაკლი ლექვინაძის გარდა, ყველა შეიცვლება. ლექვინაძეს მერის მოადგილის თანამდებობა უკავია. პირველი რადიოს წყაროს ინფორმაციით, „ოცნებაში“ ლექვინაძის მფარველები აქტიურად ცდილობენ კალაძის დარწმუნებას, რომ მათი ნებიერა თანამდებობაზე დატოვოს.

საკადრო ცვლილებების შესახებ ცნობილი 13 ნოემბერს გახდება. სწორედ ამ დღეს შეუდგება კალაძე ოფიციალურად მერის მოვალეობის შესრულებას. ნარმანიას მოადგილეები ლაშა აბაშიძე, გიგა ნიკოლეიშვილი, ნინა ხატისკაცი, ნატო ქიტიაშვილი თანამდებობებს ოფიციალურად დატოვებენ.

სამსახურებს ვერც საქალაქო სამსახურების ხელმძღვანელები შეინარჩუნებენ. მედიაში გავრცელებული ინფორმაციით, თანამდებობის შენარჩუნების შანსი მხოლოდ ორ მათგანს აქვს. ეს იღბლიანები კულტურის საქალაქო სამსახურის უფროსი ია მაქაცარია და განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროსი ირაკლი ლაგვილავა არიან.

გივი კუბლაშვილი (კეთილმოწყობის სამსახურის უფროსი); მამუკა მუმლაძე

(საქალაქო სატრანსპორტო სამსახური), გიორგი წერეთელი (ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახური), გელა ჩივიაშვილი (ჯანდაცვა და სოციალური მომსახურება) და სოფო გიგანი (იურიდიული სამსახური) სამუშაოს გარეშე რჩებიან.

მათ ბედს გაიზიარებენ: დავით მორალიშვილი (შესყიდვების სამსახური), ვალერი პაპიაშვილი (უსაფრთხოების სამსახური), გაიოზ თალაკვაძე (საფინანსო სამსახური), გიორგი უკლება (ზედამხედველობის სამსახური) და კახაბერ გვანცელაძე (ეკონომიკური განვითარების სამსახური).

თანამდებობას ვერც საბავშვო ბაგა-ბაღების სააგენტოს ხელმძღვანელი თემურ თორდინავა შეინარჩუნებს. მას, შესაძლოა, დაკითხვებზეც მოუწიოს სიარულმა.

ახალი მოწვევის საკრებულოს დეპუტატმა ლევან ხაბეიშვილმა უკვე მიმართა ანტიკორუფციულ სამსახურს და ბაგა-ბაღების მართვის სააგენტოს საქმიანობის შესწავლა მოითხოვა.

როგორც ხაბეიშვილმა „ახალ თაობასთან“ საუბარში განაცხადა, მან ანტიკორუფციულ სამსახურს სათანადო დოკუმენტები უკვე გადასცა. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი ფიქრობს, რომ სუსი თორდინავას ბაგა-ბაღების საარჩევნო მიზნებისთვის გამოყენებისთვის პასუხს მოსთხოვს.



მისი თქმით, ანტიკორუფციული თორდინავას საქმიანობით ადრე უნდა დაინტერესებულიყო.

— თორდინავასთან დაკავშირებით არაერთი განცხადება მაქვს გაკეთებული, მაგრამ სათანადო სამსახურებს ამ განცხადებაზე რეაგირება არ ჰქონიათ. მაგალითისთვის გეტყვით, რომ თორდინავას სავარაუდო სისხლის სამართლის დანაშაულზე ინფორმაცია ჰქონდა და მას რეაგირება არ მოუხდენია — გარდაცვლილი ადამიანი აწერდა ხელს რამდენიმე თვის განმავლობაში დოკუმენტაციაზე, — ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, მათ ხელთ აქვთ ჩანაწერი, რომლის საფუძველზეც სუსი ვალდებულია, გამოძიება დაიწყოს.

— ამ დღეებში ჩვენ გავასაჯაროვეთ აუდიოჩანაწერი, საიდანაც ჩანს, რომ, სავარაუდოდ, გარდაცვლილი ადამიანის მაგივრად ხდებოდა დოკუმენტებზე ხელმოწერა, ასევე 163-ე ბაღის ყოფილი დირექტორი აყალბებდა სხვა თანამშრომლების ხელმოწერას, რის შესახებ ინფორმაცია თემურ თორდინავას ჰქონდა და ესეც ამ ჩანაწერში დასტურდება. სამწუხაროდ, არავის ეს ფაქტი არ შეუსწავლია და სავარაუდო დამნაშავე ახლაც მუშაობს, — ამბობს ნაცმოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი.

ვიცემერებისა და საქალაქო სამსახურების უფროსების გარდა, თანამდებობებს გამგებლებიც დატოვებენ. 10 რაიონის გამგებლიდან თანამდებობა, შესაძლოა, მხოლოდ დიდუბის გამგებელმა შეინარჩუნოს.

ნაციონალების ერთ-ერთი ლიდერი ლევან ხაბეიშვილი არ გამორიცხავს, რომ რამდენიმე ჩინოსანი დააკავონ.

— ეს მხოლოდ პოლიტიკური გადაწყვეტილება იქნება და მეტი არაფერი, — ამბობს ხაბეიშვილი.

მისი თქმით, მხოლოდ საკადრო ცვლილებების შემდეგ შეიძლება იმის თქმა, აპირებს თუ არა კალაძე საქმის კეთებას.

— ამ დღეებში ვნახავთ, ვის დანიშნავს კალაძე თანამდებობებზე. პირადად მე დიდი მოლოდინები არ მაქვს. საკრებულოში ისეთი ხალხი შეიყვანა, რომლებსაც არც ბიოგრაფია აქვთ და არც საქმის კეთება იციან. „ოცნების“ სიის პირველმა ნომერმა ქალბატონმა ისიც კი თქვა, 20 ახალ მეტროსადგურს გავხსნითო. დარწმუნებული ვარ, მერიაშიც ასეთ ხალხს მიიყვანს, — აცხადებს თბილისის საკრებულოს დეპუტატი.

ლევან ხაბეიშვილი დარწმუნებულია, რომ კალაძე უფრო პიარზე იქნება ორიენტირებული, ვიდრე საქმის კეთებაზე.

— კალაძის სირბილი თვალშისაცემია, მაგრამ ამით თბილისელებს რა? ერთხელ იმგზავრა ავტობუსით და უბილეთოდ მგზავრობისთვის ჯარიმა 5 ლარიდან 20 ლარამდე გაიზარდა. ახლა მთელი თბილისი იმაზე ლოცულობს, რომ „მარშრუტკაში“ არ ავიდეს, თორემ იქ შეიძლება მგზავრობის საფასური 2 ლარამდე ასწიონ. მთელ მსოფლიოს გააგებინეს, კალაძე გმირთა მოედანზე არსებულ მიწისქვეშა გადასასვლელში ჩავიდაო. ჩავიდა და აღმოაჩინა, რომ იქაურობა ყარს. ეს მთელმა თბილისმა იცის და, წესით, მომავალ მერსაც უნდა სცოდნოდა. მილანში როცა ცხოვრობდა, ვერ გაიგებდა, მაგრამ ბოლო 5 წელი ხომ აქაა, ვიცეპრემიერი იყო და, წესით, ეს ამბავი მისთვის სიახლე არ უნდა ყოფილიყო. რატომღაც მგონია, რომ ეს ყველაფერი მხოლოდ პიარია, — აღნიშნავს ხაბეიშვილი.



მას საკრებულოს მომავალი თავმჯდომარის მიმართაც აქვს პრეტენზიები. საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე გახდება, რომელიც აქამდე საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე იყო.

ტყემალაძემ დედაქალაქს თავი საწვავის ხარჯვით დაამახსოვრა. ის ყველაზე მეტ საწვავს ხარჯავდა.

— მის სახელს სხვა სკანდალებიც უკავშირდება. ის და მამამისი მზიურის შესასვლელში მრავალსართულიან სახლს აშენებენ, — ამბობს საკრებულოს დეპუტატი.

მისი აზრით, სავსებით შესაძლებელია, ტყემალაძის პასუხისმგებლობის საკითხი დადგეს.

— ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები. კალაძემ თუ მართლა შეიყვანა აუდიტი მერიაში, ბევრი დარღვევა იქნება აღმოჩენილი. მთელი ეს პერიოდი ტყემალაძე მათზე იყო გადაფარებული და ამ დარღვევებზე, წესით, მანაც უნდა აგოს პასუხი, — მიაჩნია ნაცმოძრაობის ერთ-ერთ ლიდერს.

# „ლარის კურსი ისე დარბის, როგორც ძიძიგური დარბოდა პარტიიდან პარტიაში“

## ბეჟან ნათელაშვილი: „ივანიშვილი პოლიტიკიდან გლდანის ციხეში უნდა წავიდეს“

შორენა მარსაგიშვილი

**რატომ ეკაიფება ხელისუფლება ხალხს, არის თუ არა მზად საზოგადოება სამართლიანობის აღსადგენად? – ამის შესახებ „ახალ თაობას" ლეიბორისტული პარტიის წევრი ბეჟან ნათელაშვილი ესაუბრება.**

***– „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი ლიდერი ზვიად ძიძიგური ამბობს, რომ ლარის კურსი ისეთია, როგორიც უნდა იყოს, ფინანსთა მინისტრი კი ამბობს, რომ ეროვნული ვალუტა ფეისბუქპოსტებმა გააუფასურა. თქვენი აზრით, გვეკაიფებიან თუ რა ხდება?***

– დიახ, გვეკაიფებიან და ასეთ რამეებს რომ ბედავენ, ეს ჩვენი ბრალია. რაც შეეხება ლარის კურსს, ის ისე დაქრის, როგორც თავის დროზე დაქროდა ძიძიგური პარტიიდან პარტიაში. დღეს ლარის კურსი დგინდება ბიძინა ივანიშვილის მადის მიხედვით. ქუმსიშვილი და მქროლავი ძიძიგური არიან ოლიგარქის ხელის ბიჭები და მის „გასაპრავებლად“ ყველაფერს იკადრებენ.

იქნებ აგვიხსნას ქუმსიშვილმა, როგორ გააუფასურა ლარი ფეისბუქსტატუსებმა. ამ ადამიანს ცოტა ხნის წინ აჟრიალებდა და ახლა, ეტყობა, ბოლომდე გააჟრიალა. მისი ეს განცხადება რომ ითარგმნოს და საერთაშორისო ასპარეზზე გავიდეს, ჩათვალეთ, რომ ქუმსიშვილის ქოუბები მოხსნის ყველა რეკორდს.

***– ისე, ფეისბუქსტატუსები რომ ქრიდეს, იმდენმა დაწერა ლეიბორისტების სლოგანი, გუგავა მოვაო, რომ თბილისის მერი ის უნდა გამხდარიყო.***

– ფეისბუქსტატუსების მიხედვით გუგავა მერი უნდა გამხდარიყო. სამწუხაროდ,. მას თბილისელებმა არ დაუჭირეს მხარი და ახლა დედაქალაქის მოსახლეობა უნდა შეეგუოს იმას, რომ გუგავას ნაცვლად გაძვირებული ქვითრები მიუვათ. მიუვათ დუხჭირი ცხოვრება. საწვავიც ძვირდება, ყველაფერი გაძვირდება და ხალხის ყოველდღიური ცხოვრება ჯოჯოხეთს დაემსგავსება.

***– იქ გათბობა მაინც არის უფასო.***

– ჩემი მტერი გათბა იქაური გათბობით, მაგრამ იქ ეს მაინც არის უფასო. აქ კი გათბობა ძალიან ძვირი ჯდება. მოსახლეობის დიდ ნაწილს სიცივესა და სიბნელეში მოუწევს ზამთრის გატარება. მათ კომუნალურების გადახდა უბრალოდ არ შეუძლიათ. როცა ხალხი შიმშილობს და გაყინულია, უნამუსობაა პრემია-დანამატების აღება.

***– ეგ თქვენ თვლით, რომ უნამუსობაა. თავად თვლიან, რომ დაიმსახურეს. ზოგმა წელიწადში 36-ჯერ აიღო დანამატი, ზოგიც 29-ს დასჯერდა მხოლოდ.***

– მე ის მიკვირს, კიდევ უფრო ბევრჯერ რომ არ აიღეს. საზოგადოებას ამაზე რეაქცია არა აქვს და რატომ არ გამოუწერენ საკუთარ თავს პრემიებს? მომავალ წელს კიდევ უფრო მეტჯერ გამოიწერენ პრემიასაც და დანამატსაც.

***– საზოგადოებას რატომ არ აქვს ამაზე რეაქცია?***

– იმიტომ, რომ საზოგადოების ყურადღება სხვა საკითხზეა გადატანილი. მთელი ერი მშიერია და იმის მაგივრად, რომ სოციალური პრობლემების მოგვარება მოითხოვონ, ლგბტ თემის გარშემო ატეხეს ამბავი.

არ მინდა, მედიაზე ცუდი ვთქვა, მაგრამ პრესაც და ტელევიზიაც მხოლოდ ამ თემაზე საუბრობს.

***– პრესა ამაზე იმიტომ საუბრობს, რომ საზოგადოება იჩენს ამ თემის მიმართ ინტერესს.***

– ასეა, ჩვენს ხალხს პურზე მეტად სანახაობა უყვარს და ამიტომაც იქცა ეს ქვეყანა ცირკად. ლგბტ თემს თავი დაანებეთ, ქალი და კაცი ამ სერიალებს არის მიჩერებული. იმის მაგივრად, რომ შვილების მომავალზე იზრუნონ, სერიალების გმირებზე ნერვიულობენ.

***– გამოდის, რომ ყველაფერი მთავრობის ბრალი არ არის.***

– რა თქმა უნდა, არ არის. მთავარი პრობლემა არის საზოგადოებაში, რომელიც ყველაფერს იტანს. ასე თუ გაგრძელდება, საქართველო არასდროს გახდება ევროპული ქვეყანა. ვის ახსოვს ამ ევროპაში ჰომოსექსუალები? მათზე გადაცემებს არავინ აკეთებს.

ან ის რა უბედურებაა, მანდილოსნების შეხედვაზე სასჯელის დაწესებას რომ ითხოვენ. ესენი თავიანთ ნებაზე რომ მიუშვა, ფეისბუქზე კაცებს ქალების ფოტოების დალაიქებას აუკრძალავენ.

***– ფოტოების დალაიქება რატომ უნდა აეკრძალოთ კაცებს?***

– რა ვიცი, ვინმემ შეიძლება თქვას, მომაშტერდა და ისე დამილაიქა ფოტოო. ქალთა უფლებების დაცვის საკითხი, ჩემი აზრით, საქართველოში დღის წესრიგშიც კი არ უნდა დადგეს. ეს ყველაფერი ყურით მოთრეული თემა მგონია.

საქართველოში ქალის უფლებები არასდროს ირღვეოდა. აქ ქალის კულტი ძალიან ძლიერია. ხშირ შემთხვევაში მას კაცზე მეტი უფლებებიც კი ჰქონდა.

***– კაცზე მეტი უფლებები როდის ჰქონდა?***

– როგორ არ ჰქონდა. ძველად მამას შვილის მკვლელი რომ ეპოვა და მასზე ხანჯალი აღემართა, ქალის მანდილის გაფრიალების შემთხვევაში შვილის მკვლელზე ხელს აღარ აღმართავდა. ეს იმას ნიშნავს, რომ ქალი არათუ კაცის თანასწორი, არამედ კაცზე მაღლაც კი იდგა.

ქალის მიშტერებას მიკრძალავენ და ის არ ახსენდებათ, რა ხდება საზოგადოებრივ ტრანსპორტში. ისეა გადაჭედილი ტრანსპორტი, რომ ხშირად არ ავდივარ – მეშინია, ან მე არ მივეხახუნო მანდილოსანს, ან მანდილოსანი არ მომეხახუნოს მე. ესენი კიდევ მიშტერებაო.

მოხახუნებაზე რადგან ვსაუბრობ, სატრანსპორტო პრობლემებზეც გავამახვილებ ყურადღებას. სასწრაფოდ უნდა აიკრძალოს მიკროავტობუსები. თბილისში დამატებით უნდა შემოიყვანონ ავტობუსები. მგზავრობის საფასურმაც უნდა დაიწიოს. ასევე პარკირებაზე უნდა დაწესდეს ძალიან მაღალი გადასახადი.

ამ გადასახადის გაზრდა საცობების პრობლემას მომენტალურად მოაგვარებს. აბა გადით, რა ხდება ქალაქში. მანქანები ტროტუარებზეა გაჩერებული. როცა ამაზე მაღალი გადასახადი დაწესდება, მძღოლი საზოგადოებრივი ტრანსპორტით ივლის. ამით განიმუხტება ქალაქი. ქართველები მარიაჟები ვართ და ოჯახში ოთხნი თუ ვართ, რვა მანქანა უნდა გვყავდეს.

***– კალაძე პირობას დებს, რომ საზოგადოებრივ ტრანსპორტთან დაკავშირებულ პრობლემას მოაგვარებს.***

– აგერ ნახავთ, რასაც მოაგვარებს. ადამიანი ამბობს, რომ მერიაში ნარმანიასგან მძიმე მემკვიდრეობა დახვდა. რა შუაშია აქ მარტო ნარმანია? ისიც და კალაძეც ერთ გუნდს წარმოადგენენ. თანაგუნდელებზე ასე საუბარი არ შეიძლება. ფეისბუქზე მეგობრებში მყავს კალაძე და მას აუცილებლად მივწერ, რომ გუნდის წევრზე ასე საუბარი არ შეიძლება. ერთი გუნდი არიან და ერთად უნდა აგონ პასუხი.

***– არიან კი ერთი გუნდი, როცა ერთმანეთზე ასეთ რამეებს ამბობენ?***

– თუ არ არიან, მით უკეთესი საქართველოსთვის. რაც მალე დაჭამენ ერთმანეთს, მით მალე ამოვა საქართველოში მზე, რომელიც ნებისმიერ ცისარტყელას გააფერმკრთალებს.

***– ამდენი ხანია პოლიტიკაში ხართ და კიდევ გჯერათ, რომ აქ მზე ამოვა?***

– უნდა ამოვიდეს, სხვა გზა არ არის. ვცდილობ, ხალხის მდგომარეობაში შევიდე, მაგრამ მათზეც უნდა ვთქვა საყვედური. არ შეიძლება 15 ლარად ხმის გაყიდვა. რაც არ უნდა გიჭირდეს, იმის აზრი ხომ უნდა გქონდეს, რომ ის ტოტი არ მოჭრა, რაზეც ზიხარ. ძალიან მძიმე დღეში ვართ, მაგრამ მჯერა, რომ მაინც გამოიძებნება გამოსავალი.

***– გამოსავალს ბევრი პოლიტიკიდან იმ პარტიების წასვლაში ხედავს, რომლებმაც თვითმმართველობის არჩევნებზე დაბალი შედეგი აჩვენეს.***

– ჩვენ უნდა წავიდეთ და ისინი დარჩნენ, ვინც კვირიკაშვილს აკრიტიკებენ? ეს ადამიანები პირდაპირ ეუბნებიან ივანიშვილს, მოქმედმა პრემიერმა საკმარისად ძარცვა ქვეყანა და ახლა ჩვენ გვაძარცვინეო.

***– წასვლაზე რას ფიქრობთ, ისე, რატომ არ უნდა წახვიდეთ ლეიბორისტები პოლიტიკიდან?***

– იმიტომ არ უნდა წავიდეთ, რომ ქვეყანა ამათ ხელში არ ჩავარდეს. თუ ვინმე უნდა წავიდეს პოლიტიკიდან, ეს არის ივანიშვილი და მისი პინგვინები. თან უბრალოდ კი არ უნდა წავიდნენ, პირდაპირ გლდანის ციხეში უნდა მოხვდნენ.

მათი ციხეში წასვლა იქნება სამართლიანობის აღდგენა. სამართალი კი მხოლოდ მაშინ აღდგება, თუ ამას ხალხი მოინდომებს.

***– ახლა არ უნდა ხალხს სამართლიანობის აღდგენა?***

– სამართლიანობის აღდგენა რომ უნდოდეს, სერიალებს არ მიაჩერდებოდნენ. ევროპული ქვეყნის აშენება თუ გვინდა, მაშინ მოვიქცეთ ისე, როგორც ევროპელები იქცევიან – საკუთარი უფლებების დასაცავად გავიდეთ ქუჩაში.

ჩვენმა საზოგადოებამ ერთი რამეც უნდა გაითვალისწინოს – ევროპაში ქუჩაში გასულ აქციის მონაწილეებს ხაჭაპურს არავინ ურიგებს. ჭამა თუ ვინმეს უნდა, სახლიდან წამოიღოს ყველი და პური. ვიღაცა თუ ხაჭაპურს მოგცემს აქციაზე, იცოდე, რომ ის სამომავლოდ შენი ჯიბიდან ამოიღებს ტორტის ფულს.



**„ვიღაცა თუ ხაჭაპურს მოგცემს აქციაზე, იცოდე, რომ ის სამომავლოდ შენი ჯიბიდან ამოიღებს ტორტის ფულს“**

# თემურ ბასილიას უკანონო მსჯავრდების გადახედვის საქმეზე სს ,,ინტელექტბანკის“ ხელმძღვანელი პირები დაიკითხნენ

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა პალატამ საქართველოს ყოფილი ვიცეპრემიერისა და პრეზიდენტის ყოფილი თანაშემწის თემურ ბასილიას საქმეზე 2008 წლის 28 ოქტომბრის განაჩენის გადახედვის პროცესი მოწმეთა ჩვენებებით განაახლა. სასამართლომ სხდომაზე მთავარი პროკურატურის 4 მოწმე დაკითხა, მათ შორის სს ,,ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მათ ჩვენებებით, კიდევ ერთხელ აღინიშნა, რომ მაშინდელი პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს ,,ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც გოგი სალიასა და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია ,,ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას. პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

საქმის აღნიშნული ეპიზოდი დაადასტურეს სასამართლოში დაკითხულმა სხვა მოწმეებმაც. ერთ-ერთმა მოწმემ გაიხსენა საქმესთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ეპიზოდი, როდესაც ყოფილმა მთავარმა პროკურორმა, ზურაბ ადეიშვილმა სპეციალური თათბირი მოიწვია და გასცა დავალება, თემურ ბასილიას მიმართ სამართლებრივი დევნის დაწყებისთვის, სამხილები მოემზადებინათ. ამასთან, მოწმეებმა ისაუბრეს თემურ ბასილიას და ს.ს. „ინტელექტბანკის“ კავშირებზე და გამორიცხეს თემურ ბასილიას მხრიდან ბანკის საქმიანობის ფარული მხარდაჭერა და მფარველობა, რომელსაც თემურ ბასილიას მაშინდელი პროკურატურა ედავებოდა. შესაბამისად, მსჯავრდებაც სწორედ ამ პოლიტიკურად მოტივირებულ პოზიციებს დაეყრდნო. მოწმეებმა საქმესთან დაკავშირებით აგრეთვე უპასუხეს სასამართლოს, პროკურატურისა და დაცვის მხარის წარმომადგენლების შეკითხვებსაც.

როგორც საზოგადოებისთვის ცნობილია, მთავარი პროკურატურის ახალი გამოძიების პირობებში დადგინდა, რომ 2006 წლის 25 თებერვალს, გენერალური პროკურატურის მიერ თაღლითობის და დოკუმენტის გაყალბებისთვის დაკავებული იყო სს ,,ინტელექტბანკის“ გენერალური დირექტორი გოგი სალია და ცენტრალური ფილიალის მმართველი ლევან კვირიკაშვილი. მაშინდელ პროკურატურას სურდა დანაშაულში გამოევლინა პრეზიდენტ ედუარდ შევარდნაძის ყოფილი თანაშემწე თემურ ბასილია, რომელიც დაპირისპირებული იყო იმჟამინდელ ხელისუფლებასთან. ამ მიზნით, პროკურატურის ხელმძღვანელი პირების ორგანიზებით, საპატიმრო დაწესებულებაში, ფარულად, კანონდარღვევით შეიყვანეს ,,ინტელექტბანკის“ აქციონერები, რომლებმაც პატიმარ გოგი სალიას და ლევან კვირიკაშვილს გადასცეს პროკურატურის კატეგორიული მოთხოვნა, რომ ხელი მოეწერათ იმ ჩვენებაზე, რომელსაც მათ გამოძიება წარუდგენდა, თითქოსდა თემურ ბასილია ,,ინტელექტბანკისთვის“ დახმარების აღმოჩენის სანაცვლოდ, ბანკისგან ქრთამის სახით იღებდა ფულად თანხებს. პროკურატურისთვის ასეთი ჩვენების მიცემის შემთხვევაში კი მათი საქმე დადებითად გადაწყდებოდა და ისინი საპროცესო შეთანხმების საფუძველზე დატოვებდნენ საპატიმრო დაწესებულებას.

პროკურატურის მიერ ასეთი მეთოდებით ყალბი ჩვენების მიღების შემდეგ თემურ ბასილია უკანონოდ იქნა მსჯავრდებული.

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის პალატამ 14 სექტემბრის სხდომაზე გაიზიარა თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა შუამდგომლობა და სისხლის სამართლის საქმეს, ინფორმაციის სახით დაურთო დამატებითი მასალები. კერძოდ, 2009 წელს პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის საჯარო გამოსვლა ქ. ფოთში და საქართველოს პარლამენტში, 2010 წელს ქართული ტელევიზიების მხრიდან მომზადებული სიუჟეტების კრებული, თემურ ბასილიას უცხოეთში თითქოსდა დაკავებისა და საქართველოში ექსტრადიციის თაობაზე, საერთაშორისო ორგანიზაციების, მათ შორის გაეროს ცენტრალური აზიის გენერალური მენეჯერის წერილი თემურ ბასილიას უკანონო დევნის შესახებ და სხვა. თემურ ბასილიას ინტერესების დამცველთა განცხადებით, წარმოდგენილი მასალიდან ჩანს, თუ სხვადასხვა მედიასაშუალებებსა და ტელეგადაცემებში როგორი უსაფუძვლო და ცილისმწამებლური კამპანია მიმდინარეობდა თემურ ბასილიას წინააღმდეგ, მათ შორისა ყოფილი პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის გამოსვლების და მისი უშუალო მითითებების საფუძველზე. ცნობისთვის: 2011 წლის 26 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების ხელისუფლებამ თემურ ბასილიას მიანიჭა პოლიტიკური დევნილის სტატუსი.



თბილისის სააპელაციო სასამართლო თემურ ბასილიას საქმეს მოსამართლეების: მაია ხოლოაშვილის (თავმჯდომარე), შორენა ყაველაშვილისა და მზია ლომთათიძის შემადგენლობით განიხილავს. საქმე აღნიშნულ კოლეგიას მას შემდეგ გადაეცა, რაც საქართველოს უზენაესი სასამართლომ თემურ ბასილიას ბრალდების გადახედვის თაობაზე განჩინება მიიღო. მანამდე, 2017 წლის 27 იანვარს, მთავარი პროკურატურის სამართალწარმოების პროცესში ჩადენილი დანაშაულის გამოძიების დეპარტამენტმა მიიღო დადგენილება „მსჯავრდებულის მიმართ სისხლის სამართლის წარმოების პროცესში მისი უფლების არსებითი დარღვევის შესახებ“, რომლითაც თემურ ბასილია, წინა ხელისუფლების პირობებში წარდგენილ ბრალდებაში, უდანაშაულოდ იქნა ცნობილი.

თემურ ბასილიას კანონიერ ინტერესებს ადვოკატები არჩილ კაიკაციშვილი და გია ტაბლიაშვილი წარმოადგენენ, ხოლო საქართველოს პროკურატურის პოზიციას – პროკურორები გიორგი მიქავა და ანრი არსენიშვილი. საქმეზე მომდევნო სხდომა 2017 წლის 14 დეკემბერს, 12:00 საათზე განახლდება, სადაც სასამართლო დარჩენილი ერთი მოწმის ჩვენებას მოისმენს და პალატა, სავარაუდოდ, გადაწყვეტილების მისაღებად მოემზადება.

## ზვიად მ. თვითმკვლელობის მუქარით 13 წლის გოგონასთან სქესობრივ კავშირს ამყარებდა



სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენის ფაქტზე სასამართლომ გამამტყუნებელი განაჩენი დაადგინა – ამის შესახებ „ნიუპოსტს“ საქალაქო სასამართლოდან აცნობეს.

მოსამართლის გადაწყვეტილებით, სრულწლოვან მამაკაცს, რომელიც 13 წლის გოგონასთან სქესობრივ კავშირს, მათ შორის გაუკუღმართებული ფორმით, ამყარებდა, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

დანაშაული მას შემდეგ გაიხსნა, როდესაც გოგონამ ალკოჰოლისა და ფსიქოტროპული აბების ზემოქმედების ქვეშ მყოფ პირთან სექსუალურ ურთიერთობაზე დედას უამბო.

სრულწლოვან ბრალდებულ ზვიად მ.-ს, წინასწარი შეცნობით, 16 წლის ასაკს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირისა და გაუკუღმართებული ფორმით, სხვაგვარი სექსუალური კონტაქტისათვის, 8 წლით თავისუფლების აღკვეთა განესაზღვრა.

სასამართლომ ბრალდებული დამნაშავედ ცნო 13 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირისათვის, მათ შორის გაუკუღმართებული ფორმით, რომელსაც 2017 წლის 25 იანვრიდან 4 თებერვლის ჩათვლით, რამოდენიმეჯერ ჰქონდა ადგილი.

დახურულ სასამართლო სხდომაზე, ბრალდებულმა თავი არ ცნო დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში და განმარტა, რომ მისთვის დაზარალებულის ასაკი ცნობილი არ იყო. თუმცა, სასამართლო სხდომებზე გამოკვლეულ მტკიცებულებათა ერთობლიობით, მათ შორის მოწმეთა გამოკითხვის ოქმებითა და ფეისბუქმიმოწერის დათვალიერებისას დადასტურდა, რომ პირობითი მსჯავრის ქვეშ მყოფი ბრალდებული, გრძნობებით მანიპულირებითა და თვითმკვლელობის მუქარით, ფსიქოლოგიურ ზეგავლენას ახდენდა არასრულწლოვანზე.

## კახეთში მეზობელმა 30 წლის ინვალიდი ქალი გააუპატიურა – ქალი რამდენიმე თვის ორსულია



კახეთში შეზღუდული შესაძლებლობების მქონე 30 წლის ქალი მეზობელმა გააუპატიურა. ის ახლა რამდენიმე თვის ორსულია. შემთხვევა ერთ-ერთ სოფელში მიმდინარე წლის აპრილში მოხდა. როგორც იმედინიუსს სოფლიდან აცნობეს, კაცი ქალს არაერთხელ დაემუქრა და სწორედ შანტაჟით მოახერხა მასთან სექსუალური ურთიერთობის დამყარება.

ფაქტს ბრალდებული აღიარებს, თუმცა გაუპატიურებასა და ძალადობას უარყოფს.

მომხდარზე გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 137-ე მუხლით მიმდინარეობს, რაც გაუპატიურებას გულისხმობს.

## ისრაელში ქართველი არალეგალების შეყვანისთვის ორი პირი დააკავეს



ისრაელში საქართველოს მოქალაქეების არალეგალურად შეყვანის ბრალდებით ქვეყნის ერთ-ერთი მაღალჩინოსანი და აეროპორტის თანამშრომელი დააკავეს.

ინფორმაციას ადგილობრივი გამოცემა „იერუსალიმ პოსტი“ ავრცელებს. როგორც ირკვევა, ეჭვმიტანილები „ბენ გურიონის“ აეროპორტში საქართველოს მოქალაქეებისგან შესვლის სანაცვლოდ ქრთამს იღებდნენ.

45 წლისა და 28 წლის ეჭვმიტანილებს ბრალად თაღლითობა, ქრთამის აღება და სამსახურებრივი მოვალეობის ბოროტად გამოყენება ედებათ.

## ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობის საქმეს პროკურატურა გამოიძიებს

ხარაგაულში ახალგაზრდა მამაკაცის ამირან კვირიკაშვილის თვითმკვლელობამდე მიყვანის საქმე გამოსაძიებლად პროკურატურას გადაეცა. ამის შესახებ ინფორმაციას თავად პროკურატურა ავრცელებს.

„2017 წლის 4 ნოემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ხარაგაულის რაიონულ სამმართველოში დაიწ-



ყო გამოძიება სისხლის სამართლის საქმეზე, მოქალაქე ა. კ.-ს თვითმკვლელობამდე მიყვანის ფაქტზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 115-ე მუხლით, 2017 წლის 9 ნოემბერს კი საქმე გამოსაძიებლად გადაეცა დასავლეთ საქართველოს საოლქო პროკურატურის საგამოძიებო ნაწილს. ამჟამად საქმეზე ტარდება ყველა საჭირო საგამოძიებო მოქმედება, მიმდინარეობს გარდაცვლილი პირის ოჯახის წევრებისა და მოწმეების გამოკითხვა, ასევე გარდაცვალების მიზეზის დასადგენად დანიშნულია სასამართლო სამედიცინო ექსპერტიზა. მაღალი საზოგადოებრივი ინტერესიდან გამომდინარე, მიმდინარე გამოძიების შედეგების შესახებ დამატებით ეცნობება საზოგადოებას“, – აცხადებენ პროკურატურაში.

## ადვოკატი: „ბოლქვაძე შეყილაძესა და ხიდურელს არწმუნებდა, რომ ფულს ვინმე ნიაზისგან ელოდა“




– დღევანდელი ჩანაწერებით დასტურდება, რომ საქმეში ბრალდებული ბოლქვაძე მასთან ერთად ბრალდებულ ორ პირს არწმუნებდა, რომ თანხას ელოდა თურქეთიდან ვინმე ნიაზისგან.

ამის შესახებ გონიოში, ზღვაში დაკარგული სამხედრო მოსამსახურეების საქმეზე ერთ-ერთი ბრალდებულის ჯამბულ შეყილაძის ადვოკატმა რამაზ ჩინჩალაძემ 10 ნოემბერს განაცხადა.

მისი თქმით, ბრალდებულ ბოლქვაძის აუდიოჩანაწერებში, რომელიც პროკურატურამ სხდომაზე წარადგინა, არ იკვეთება, რომ საქმეში მასთან ერთად ბრალდებულ პირებს – ხიდურელსა და შეყილაძეს – დანაშაულში ბრალი მიუძღოდეთ.

– დღეს დადასტურდა, რომ ჯამბულ შეყილაძეს ბოლქვაძემ უთხრა, რომ ის თანხას თურქეთიდან ელოდა. ჩანაწერებით ისიც დადასტურდა, რომ ბოლქვაძე კიდევ ერთ ბრალდებულ ხიდურელსაც არწმუნებს, რომ თანხას თურქეთიდან, ვინმე ნიაზისგან ელოდებოდა, – განაცხადა რამაზ ჩინჩალაძემ.

ბრალდებულ გია ხიდურელის ადვოკატი მამუკა მიროტაძე აცხადებს, რომ მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირი წარდგენილ ბრალს არ აღიარებს და აღნიშნავს, რომ გია ხიდურელის ბრალეულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ არსებობს.

შემდეგი სასამართლო სხდომა 14 ნოემბერს კვლავ ბრალდების მხარის მტკიცებულებების განხილვით გაგრძელდება.

გონიოში, ზღვაში, წვრთნების დროს ორი სამხედრო მოსამსახურე შარშან აგვისტოში გაუჩინარდა. მოგვიანებით ცნობილი გახდა, რომ ერთ-ერთი სამხედროს ოჯახს სამკაციანი ჯგუფი გაუჩინარებული ჯარისკაცის სახელით წერილებს უგზავნიდა და მისგან თანხას ითხოვდა.

# ჯემალ გამახარია: „ქართველები აფხაზეთში ისე ცხოვრობენ, როგორც საკონცენტრაციო ბანაკში“

გულიკო ბალაძე

**ევროპის საბჭოს მინისტრთა მოადგილეების კომიტეტის სხდომაზე საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ადამიანის უფლებების მდგომარეობა განიხილეს. სხდომაზე ევროპის საბჭოში გენერალური მდივანი ტორბიორნ იაგლანდი წარდგა მე-16 კონსოლიდირებული ანგარიშით „კონფლიქტი საქართველოში“.**

ანგარიშის შესახებ „ახალ თაობას“ აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ჯემალ გამახარია ესაუბრება.

***– ბატონო ჯემალ, ევროპის საბჭოს წარმომადგენლები ვერ შედიან ოკუპირებულ ტერიტორიაზე. რას ეყრდნობა ევროსაბჭოს გენერალური მდივანი თავის კონსოლიდირებულ ანგარიშში?***

– მათ სხვადასხვა წყარო აქვთ. ინფორმაციას საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროც აწვდის. თვითონაც ჩამოდიან საქართველოში და სიტუაციას ეცნობიან. მათ აქ თავიანთი წარმომადგენლობა აქვთ და, როგორც წესი, ინფორმაციას ღია წყაროებიდან მოიპოვებენ.

***– თუმცა, კარგი იქნება, ევროსაბჭოს წარმომადგენლები ოკუპირებულ ტერიტორიაზე რომ შედიოდნენ.***

– დიახ, კარგი იქნება, რადგან თავიანთი თვალით ნახავენ არსებულ ვითარებას. სამწუხაროდ, ისინი იქ ვერ შედიან.

***– ჩვენი მინისტრი ციხელაშვილი აღნიშნავს, რომ ეს „კონსოლიდირებული ანგარიში“ ჩვენს პარტნიორებს მნიშვნელოვან ინფორმაციას აწვდის. რა გავლენა შეიძლება ჰქონდეს ამ ანგარიშს ზოგად პოლიტიკასა და დამოკიდებულებაზე ჩვენს ოკუპირებულ ტერიტორიებთან დაკავშირებით?***

– ასეთი ანგარიშები პერიოდულად კეთდება, დაახლოებით წელიწადში ორჯერ. შედეგად ევროპა ინფორმირებულია იმის თაობაზე, თუ რა დარღვევებია საქართველოს ოკუპირებულ ტერიტორიებზე ადამიანის უფლებების კუთხით. ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს ოკუპანტზე ზეწოლის თვალსაზრისით, რათა სიტუაცია გამოსწორდეს. ვერ ვიტყვი, რომ სიტუაცია აფხაზეთსა და ცხინვალის რეგიონში სწორდება. პირიქით, უფრო უარესდება, მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამგვარ მოხსენებებს, სადაც საუბარია ოკუპირებულ ტერიტორიაზე ოკუპანტის ქმედებებზე ადამიანის უფლებების დარღვევების თვალსაზრისით, დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს.

***– წარსულში რუსეთს ევროსაბჭოზე დიდი გავლენები ჰქონდა. ამ ეტაპზე რა ხდება?***

– უკრაინის ცნობილი მოვლენების შემდეგ ევროსაბჭოს წევრობა რუსეთს შეჩერებული აქვს. ამდენად, ახლა რუსეთის გავლენებზე საუბარი სწორი არ იქნება. არავითარი გავლენა რუსეთს ევროსაბჭოზე ამ ეტაპზე არ აქვს.

***– როგორც აფხაზეთის დევნილ ხელისუფლებას, თქვენ თუ გაქვთ დამოუკიდებელი წყაროები აფხაზეთში არსებული მდგომარეობის გასაგებად?***

– რასაკვირველია. გარდა ღია წყაროებისა, არსებობს კიდევ სხვა წყაროებიც. ასეთი წყაროები აფხაზეთის ხელისუფ-



ლებასაც გააჩნია და საქართველოს ცენტრალურ ხელისუფლებასაც. მოპოვებული ინფორმაცია თავს იყრის საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში, რომელიც ამ ინფორმაციას ევროსაბჭოს აწვდის.

***– თქვენი დამოუკიდებელი წყაროების საფუძველზე რა შეგიძლიათ თქვათ, ადამიანის უფლებათა დარღვევის რა ფაქტები არსებობს აფხაზეთში?***

– აღნიშნულ კონსოლიდირებულ ანგარიშში, რომელსაც ჰქვია „კონფლიქტი საქართველოში“ და ევროსაბჭოს გენმდივანი წარადგენს ხოლმე (როგორც ადრინდელ მოხსენებებში), ყურადღება გამახვილებულია ქართველების უფლებების შეზღუდვაზე ოკუპირებულ ტერიტორიაზე, მშობლიურ ენაზე განათლების აკრძალვაზე, გადაადგილების შეზღუდვაზე, ე.წ. ბორდერიზაციაზე, ახლახან ოკუპირებულ ერედვში ქართველთა კუთვნილი სახლების განადგურებაზე. როგორც იცით, რუსეთმა ქართველების სახლები მიწასთან გაასწორა. ამით რუსეთის სახელმწიფომ უმძიმესი დანაშაული ჩაიდინა.

„კონსოლიდირებული ანგარიშის“ შედგენისას მნიშვნელოვანი იყო საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილე დავით ზალკალიანის მოხსენება, სადაც განხილული იყო ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება. თუმცა ოკუპირებულ ტერიტორიებზე არსებული ვითარება ჯერ კიდევ არ გამხდარა ფართო მსჯელობის საგანი.

***– რას გულისხმობთ?***

– მესმის, რომ საუბარია განათლებისა და გადაადგილების უფლებებზე, ბორდერიზაციასა და ადმინისტრაციული საზღვრის გადმოწევაზე. ეს დარღვევები ერთი ანგარიშიდან მეორეში გადადის, მაგრამ არის კიდევ სხვა საკითხებიც, რომლებიც ბევრად მეტ ყურადღებას საჭიროებს, ვიდრე დღემდე ექცევა.

***– კერძოდ, რა საკითხებია?***

– მაგალითად, გალის რაიონში, სადაც ქართველი მოსახლეობა უცხო ქვეყნის მოქალაქეებადაა გამოცხადებული (მხოლოდ ბინადრობის უფლებით სარგებლობენ), ქართველს არ აქვს უფლება, ქორწინება დაარეგისტრიროს. გალის მოსახლეობას არ აქვს უფლება, ახალდაბადებული ბავშვი დაარეგისტრიროს. ვთქვათ, შეეძინა ბავშვი, როგორ უნდა დაარეგისტრირონ?

***– აბა, სად რეგისტრირდებიან?***

– სადღაც აქეთ, საქართველოს არაოკუპირებულ ტერიტორიაზე. ვთქვათ, ერთ ოჯახში ცხოვრობს ორი-სამი ძმა. ერთ მშვენიერ დღეს ხომ უნდა გაიყონ და იყიდონ სახლი ან ბინა. მათ ამის უფლება არ აქვთ. ამ საკითხებზე ყურადღება არ არის გამახვილებული, არადა, აქ მჟღავნდება რუსეთის ჭეშმარიტი მიზნები. რუსეთის ნამდვილი მიზანია ქართველი მოსახლეობის აფხაზეთიდან განდევნა, ან თუ მოახერხებენ, ასიმილაცია. უნდათ, ქართველების ასიმილაცია მოახდინონ რუსული ენის თავს მოხვევით. თუმცა, რადგან აფხაზეთის ქართველი მოსახლეობა ასიმილაციას არ ექვემდებარება, ექცევიან, როგორც „უცხო ქვეყნის“ მოქალაქეებს. ქორწინებას ვერ დაარეგისტრირებ, ბავშვს ვერ დაარეგისტრირებ, ქონებას ვერ შეიძენ. ამიტომ იძულებული ხდები, იქაურობა დატოვო. აი, ასეთი უბედურებები ხდება სხვა უბედურებებთან ერთად გალის ტერიტორიაზე. იმედი მაქვს, მომდევნო კონსოლიდირებულ ანგარიშებში ეს საკითხები ასახვასა და შესაბამის შეფასებებს ჰპოვებს. ეს არის გენოციდი.

***– ვერ რეგისტრირდებიან, ვერ იძენენ ქონებას, ვერ ქმნიან ახალ ოჯახებს და ვერ სახლდებიან, თუ იქაურობას არ დატოვებენ, ჰაერში არ აღმოჩნდებიან?***

– დიახ, თუ სკოლაში მიღების პრობლემაც ჩნდება. თუ სკოლაში მიაღებინეს, ატესტატის მიღების პრობლემა წარმოიშობა.

***– ე.ი. აფხაზეთში ქართველების ცხოვრება საკონცენტრაციო ბანაკებში ცხოვრებას ჰგავს.***

– საკონცენტრაციო ბანაკებში ასეთი სიმკაცრე არ იყო. საკონცენტრაციო ბანაკებში უფრო უკეთესად გრძნობდნენ თავს, ვიდრე აფხაზეთში. მეორე მსოფლიო ომის დროს ფაშისტებს გეტოები ჰქონდათ. აი, ის გეტოა ზუსტად გალის რაიონში. გალის რაიონი სუფთა გეტოა.

# კალაძე „სითი პარკს“ სასამართლოში უჩივლებს



## „სითი პარკი“: „ის სტატისტიკა, რომელზეც კალაძემ ისაუბრა, სიმართლეს არ შეესაბამება“

თბილისის მერია კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ სამართლებრივ დავას სასამართლოში აპირებს. ამის შესახებ თბილისის არჩეულმა მერმა კახა კალაძემ ტელეკომპანია „იმედის“ ეთერში განაცხადა.

მისი თქმით, კითხვა არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რამდენად კანონიერად მოქმედებდა „სითი პარკი“. ჟურნალისტის კითხვაზე, არის თუ არა მოსალოდნელი, რომ თბილისის მერიამ „სითი პარკის“ წინააღმდეგ სასამართლოს მიმართოს, კალაძემ განაცხადა: „რა თქმა უნდა, სამართლებრივი გზით წასვლაზე როდესაც ვსაუბრობ, მე ზუსტად ამას ვგულისხმობ“.

კალაძის განმარტებით, „სითი პარკის“ საქმიანობის კანონიერების დასაზუსტებლად პროცესში იურისტები ჩაერთვებიან.

– ჩვენი მიდგომები იქნება სამართლებრივი. თუნდაც, სტატისტიკა რომ ვნახოთ, ჯარიმები, რომლებიც ამ კომპანიის მხრიდანაა გამოწერილი და რომლებიც გასაჩივრდა, 99% გამამართლებელი განაჩენი მოქალაქეების სასარგებლოდ არის გამოტანილი. შესაბამისად, ჩნდება კითხვა – ეს კომპანია არაკანონიერად მოქმედებს?! ამიტომ ჩვენ მივუდგებით სამართლებრივი გზით. სამართლებრივი გზით წასვლაზე როდესაც ვსაუბრობ, მე ზუსტად ამას ვგულისხმობ, რომ იურისტები ჩაერთვებიან და ამ მიმართულებით ვიმუშავებთ, – განაცხადა კახა კალაძემ.

კალაძის გამოსვლას „სითი პარკი“ გამოეხმაურა.

– ის სტატისტიკა, რომელზეც არჩეულმა მერმა ისაუბრა, სიმართლეს არ შეესაბამება, – უთხრა „ინტერპრესნიუსს“ კომპანია „სითი პარკის“ მედიაკომუნიკაციების მენეჯერმა ლევან ტაბიძემ.

რაც შეეხება კალაძის განცხადებას, რომ თბილისის მერია კომპანია „სითი პარკის“ წინააღმდეგ დავას სასამართლოში აპირებს, ლევან ტაბიძის თქმით, კომპანია „სითი პარკი“ მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის სრული დაცვით და ასევე იმ კონტრაქტით, რომელიც გაფორმებულია თბილისის მერიასა და კომპანიას შორის.

– ის სტატისტიკა, რომელზეც არჩეულმა მერმა ისაუბრა, არ შეესაბამება სიმართლეს და მას არასწორი სტატისტიკა მიაწოდეს. იქედან გამომდინარე, რომ გამოწერილი ჯარიმების მხოლოდ 0.2% ხდება სადაო და ამ დავის შემდეგაც ნახევარზე მეტს კომპანია იგებს.

იმედს ვიტოვებთ, რომ უახლოეს მომავალში თბილისის მერი შეხვდება კომპანიის წარმომადგენლებს და „სითი პარკის“ ხელმძღვანელებს ექნებათ შესაძლებლობა, თბილისის არჩეულ მერს მიაწოდონ ამომწურავი, სრული და ობიექტური ინფორმაცია იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის კომპანიის საქმიანობა და გასცენ ყველა შეკითხვას პასუხი, რომლებიც თბილისის მერს დააინტერესებს, – განაცხადა ტაბიძემ.

მისივე თქმით, გასაჩივრებული ჯარიმების დაახლოებით 30% მოდის იმ მოქალაქეებზე, რომლებიც პერმანენტულად არღვევენ პარკირების წესებს, ასევე არ იხდიან გადასახადებს.

# „დეპოზიტების დაზღვევა ბანკებს დიდ ხარჯად არ დააწვება“




– ძალიან მნიშვნელოვანია, რომ დეპოზიტების დაზღვევის ფონდში ინვესტირებული თანხები იყოს დაცული, იყოს ლიკვიდურ აქტივებში ინვესტირებული და ამ ყველაფერს თან უნდა ახლდეს მომგებიანობა.

ამის შესახებ ჟურნალისტებთან საუბრისას დეპოზიტების დაზღვევის სააგენტოს ხელმძღვანელმა ოთარ ძიძიკაშვილმა განაცხადა.

მისი თქმით, პირველ წელს ფონდში მობილიზებული თანხა 12-13 მლნ ლარი იქნება, რაც, მისი თქმით, საბანკო სისტემისთვის არ იქნება დიდი თანხა, რადგან საბანკო სექტორის მომგებიანობის მაჩვენებლები საკმაოდ გაუმჯობესებულია.

– ეს დიდ ხარჯად არ დააწვება საბანკო სექტორს. იმდენად მცირედი ხარჯია, რომ ამით მანიპულირება არასწორი იქნება. თუ სექტორის მომგებიანობა ჯამური არის 800 მილიონზე მეტი 12 მილიონი არ არის ის ხარჯი, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს საპროცენტო განაკვეთებზე.

ამ სისტემით ბანკებს გრძელვადიან რესურსზე ხელმისაწვდომობა გაეზრდებათ.

სააგენტო შეიმუშავებს საინვესტიციო სტრატეგიას რასაც გააცნობს სამეთვალყურეო საბჭოს და ამ პრინციპებიდან გამომდინარე იხელმძღვანელებს სააგენტო, – ამბობს ოთარ ძიძიკაშვილი.

# ნინო ჩხობაძე: „თუ ყურძენს ფაროსანა შეერია, ის ღვინო აღარ ვარგა“

გარემოსდაცვითი საკითხების ექსპერტი, ორგანიზაცია „საქართველოს მწვანეები – დედამიწის მეგობრების“ თავმჯდომარე ნინო ჩხობაძე საქართველოში ფაროსანას გავრცელების საფრთხეზე საუბრობს. როგორც ჩხობაძემ „კვირას“ პრესკლუბში სტუმრობისას აღნიშნა, ხორბალი ფაროსანას ბუნებრივი საკვებია, ამიტომ ამ მხრივ რადიკალური ღონისძიებაა გასატარებელი.

– სამწუხაროა, მაგრამ ფაროსანა ვენახსაც მიადგა. მოსახლეობის თქმით, თუ ყურძენს ფაროსანა შეერია, ის ღვინო აღარ ვარგა, სხვა გემოს აქვს. ქათამი კი, რომელიც ფაროსანათი იკვებება, არ იჭმევა, სპეციფიკური სუნი აქვს. ეს არის პოპულაციური აფეთქება კლიმატის ცვლილების ფონზე, – ამბობს ექსპერტი.

ნინო ჩხობაძემ ყურადღება ფაროსანას განადგურების საშუალებებზეც გაამახვილა.



– რაც შეეხება მომავალ წელს აღმოსავლეთ საქართველოში მოსალოდნელ პრობლემას, ფაროსანას ბუნებრივი საკვები ხორბალია, რაც აღმოსავლეთშია და თუ რაიმე რადიკალური ღონისძიება არ გავატარეთ, სოფლის მეურნეობისთვის სერიოზული დარტყმა იქნება.

ფიზიკური განადგურების მეტი, ფაქტობრივად, არაფერი მოქმედებს მასზე. სწორედ ამ მეთოდით ებრძვიან სხვა ქვეყნებშიც, ამ ეტაპზე ეს არის ერთადერთი გამოსავალი. ვფიქრობ, კარგი იქნებოდა, ვისაც ფაგები გამოჰყავთ, მათ გამოეყვანათ სპეციალური ფაგი ფაროსანასთვის. თუ არადა, ისევ არსებული მეთოდები: შეწამვლის დროულად გაკეთება და სახლებში ფიზიკური განადგურებაა.

დასავლეთ საქართველოში პრაქტიკულად ყველაფერზე პრობლემაა, რადგან მოსავალი ვერ აიღეს, – განაცხადა ნინო ჩხობაძემ პორტალ „კვირას“ პრესკლუბში გამართულ პრესკონფერენციაზე.

მან ფაროსანას ბიოლოგიური გზებით განადგურებაზეც ისაუბრა და აღნიშნა, რომ ბიოლოგიური მტრის კალიის, კრაზანას შემოყვანა უკვე ადამიანისთვისაა საშიში და ეს პროცესი ძალიან კარგად უნდა იყოს შეფასებული. მოსახლეობის ინფორმაციით, დასავლეთ საქართველოში ჩიტები, ფრინველები გაქრნენ, მაგრამ, რა შეიძლება იყოს ამის მიზეზი, ნინო ჩხობაძე ვერ ასახელებს.

# კანონპროექტის განხილვა, რომელიც მიწების მორატორიუმზე ბანკების საკითხს არეგულირებს, შეჩერებულია



პარლამენტში დროებით შეჩერებულია კანონში დაგეგმილი ცვლილებების განხილვა, რომლის მიხედვით, მიწებთან დაკავშირებით დაწესებული მორატორიუმი ბანკებსა და „განსაკუთრებულ შემთხვევებზე“ არ ვრცელდება.

საპარლამენტო უმრავლესობამ საკითხის განხილვა სექტემბრის დასაწყისში დაჩქარებული წესით დაიწყო, თუმცა პირველი მოსმენით განხილვის შემდეგ პროცესი აღარ გაგრძელებულა. საკითხს მმართველი გუნდი არც არჩევნების შემდეგ განახლებული მოსმენების ფარგლებში დაჰბრუნებია.

საკანონმდებლო ინიციატივის ერთ-ერთი ავტორი ანრი ოხანაშვილი პროექტის კორექტირებაზე საუბრობს და ამბობს, რომ მასში შესაძლოა კიდევ განხორციელდეს ცვლილებები, რაც მსჯელობის საგანია.

– საკითხის განხილვა დროებით შეჩერდა. სწორედ ჩვენი საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, საკითხი რეგულირებას აუცილებლად საჭიროებს, – განუცხადა „ინტერპრესნიუსს“ ანრი ოხანაშვილმა.

დეპუტატი ამ ეტაპზე ვერ აკონკრეტებს, როდის დაუბრუნდება პარლამენტი კანონპროექტის განხილვას, თუმცა არც იმას გამორიცხავს, რომ პროექტის მიღება წლის ბოლომდე მოხდეს.

პარლამენტის მიერ საგაზაფხულო სესიის ბოლოს მიღებული კანონით, უცხოელებსა და უცხოურ კომპანიებზე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასხვისებასა და საკუთრებაში გადაცემაზე მორატორიუმი დაწესდა. პარლამენტის გადაწყვეტილებით, შესაბამისი საკანონმდებლო ნორმა საკონსტიტუციო ცვლილებების ამოქმედებამდე შეჩერდა.

ეს მორატორიუმი არ გავრცელდება კომერციულ ბანკებზე, რომლებსაც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის საკუთრების უფლება საბანკო საქმიანობის განხორციელების ფარგლებში წარმოეშობათ. ასეთ შემთხვევაში, კომერციულ ბანკებს წარმოეშობათ ვალდებულება, სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლების მოპოვებიდან ორი წლის ვადაში ის შესაბამის უფლებამოსილ პირზე გაასხვისონ.

პროექტის ინიციატორები არიან დეპუტატები – ანრი ოხანაშვილი, ეკა ბესელია, ვანო ზარდიაშვილი, დავით მათიკაშვილი, გურამ მაჭარაშვილი და ილია წულაია.

# „2020 წელს 220-ლარიანი პენსიის მსყიდველუნარიანობა შარშანდელზე 2-ჯერ ნაკლები იქნება“




– ხელისუფლება ძალიან ცუდად მოიქცა, როდესაც პენსიის მომატებაზე უარი თქვა.

ამის შესახებ დეპუტატმა რომან გოცირიძემ რადიო „კომერსანტის“ გადაცემაში „ეკონომისტის დრო ლევან ქისტაურთან ერთად“ განაცხადა.

– ხელისუფლებამ დააანონსა, რომ პენსია გაიზრდება 2019 და 2020 წლებში 20-20 ლარით. იმ დროს კი ინფლაციისა და ლარის გაუფასურების ფონზე პენსიის მსყიდველუნარიანობა შემცირებული იქნება. ამ ხელისუფლების მე-7 წლისთავზე პენსია გახდება 220 ლარი, რომელიც თავისი მსყიდველუნარიანობით 2-ჯერ ნაკლები იქნება, ვიდრე ეს იყო შარშან ან შარშანწინ, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

რაც შეეხება დაგროვებით პენსიას, გოცირიძე თვლის, რომ ეს კარგია, თუმცა ამით რეალურად საშემოსავლო გადასახადის ზრდა მოხდება.

– დაგროვებითი პენსიისას თუ საშემოსავლო გადასახადი იქნება 18%, მაშინ ეს გადასახადი არ გაიზრდება, მაგრამ დღეს საშემოსავლო გადასახადი არის 20%, დაგროვებითი პენსიის შემთხვევაში ცხადია, რომ ეს 20% გაიზრდება. როდესაც ხელფასის ფონდი იბეგრება 20%, მომავალში ეს დაიბეგრება 24%-ით, რადგან 2%-ს გადაიხდის დასაქმებული და 2%-ს – დამსაქმებელი, ეს კი მთლიანად ბიზნესს დააწვება, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

ამასთან, დეპუტატის განცხადებით, დღეს საქართველოში არ არსებობს არცერთი სფერო, გარდა ბანკებისა, სადაც ურისკოდ შეიძლება დააბანდო ფული.

– საქართველოში არ არის განვითარებული ფასიანი ქაღალდების ბაზარი. რეალურად ყველა ბიზნესი არის შპს და არა სააქციო საზოგადოება. საქართველოს მოსახლეობა განწირულია და დამოკიდებულია ბანკების მოწყალებაზე, რადგან სხვაგან ფულის დაბანდების საშუალება არ არსებობს. საბოლოოდ, ყველა გზა მიდის ბანკებამდე. საპენსიო ფონდში აკუმულირებულ თანხასაც მთავრობა ან ბანკებს მისცემს, ან თვითონ მოიხმარს, – დასძინა რომან გოცირიძემ.

რაც შეეხება ზოგადად დაგროვებით საპენსიო რეფორმას, გოცირიძე მიიჩნევს, რომ ეს სისტემა უნდა დაინერგოს, მაგრამ თავდაპირველად მას უნდა ჰქონდეს ნებაყოფლობითი ფორმა:

– 5 წლის განმავლობაში ეს უნდა იყოს გარკვეული ასაკის ადამიანებისთვის ნებაყოფლობითი. 5 წლის შემდეგ ჩვენ უკვე გვექნება შედეგი და შეგვიძლია, განვსაზღვროთ ასაკობრივი კატეგორია, ვისზეც სავალდებულო სისტემა გავრცელდება, – განაცხადა რომან გოცირიძემ.

„კომერსანტი“

# ტრამპი: „ჩინეთში ვიზიტით კმაყოფილი ვარ!“



აშშ-ის პრეზიდენტი დონალდ ტრამპი ჩინეთს ესტუმრა. ის ჩინეთის ლიდერ სი ცზინპინს შეხვდა. მოლაპარაკებების ძირითადი თემა ჩრდილოეთ კორეა იყო. ტრამპმაც სი ცზინპინს მიმართა:

– თქვენ დიადი ქვეყნის დიადი ლიდერი ბრძანდებით! თქვენი დახმარებით ჩრდილოეთ კორეის პრობლემა სწრაფად და მარტივად მოგვარდება!

სი ცზინპინი არ მალავდა, რომ მისთვის მნიშვნელოვანია აშშ-სთან სავაჭრო ურთიერთობები. ეს საჩოთირო თემაა. აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო დეფიციტი 250 მილიონ დოლარს შეადგენს.

პეკინში ყოფნისას ტრამპმა საგანგებოდ აღნიშნა, რომ აშშ-ჩინეთს შორის სავაჭრო დეფიციტი მისი წინამორბედის გამო შეიქმნა.

– ის, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის სავაჭრო ურთიერთობები რიგზე არაა, ობამას ადმინისტრაციის ბრალია! ვეცდები, წინამორბედის შეცდომა გამოვასწორო, – განაცხადა ტრამპმა.

პეკინში ყოფნისას ამერიკულ კომპანიებსა და ჩინეთს შორის რიგ შეთანხმებებს ხელი მოეწერა. საუბარია 250 მილიარდი დოლარის შეთანხმებებზე.

ჩინეთის ლიდერმა, თავის მხრივ, აღნიშნა, რომ ჩრდილოეთ კორეის ბირთვული იარაღით აღჭურვა ჩინეთისთვის კატეგორიულად მიუღებელია. სი ცზინპინმა ხაზი გაუსვა, რომ ჩინეთ-აშშ-ს შორის ჩრდილოეთ კორეასთან დაკავშირებით აზრთა სრული თანხმობაა.

ტრამპმა განაცხადა:

– ჩინეთში ვიზიტით კმაყოფილი ვარ. ჩვენს მიზნებს ასი პროცენტით მივაღწიეთ!

# ბორის ჯონსონი: „რუსეთზე ზეწოლა უნდა გაგრძელდეს!“



დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ბორის ჯონსონმა აღიარა, რომ სიამოვნებით გაემგზავრებოდა მოსკოვში, რათა რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება მოეხდინა. მინისტრმა გულისტკივილით შენიშნა, რომ ეს შეუძლებელია.

– რუსეთი აგრესიულ პოლიტიკას განაგრძობს. ამისი ნათელი დადასტურებაა სირია და უკრაინა. იქმნება შთაბეჭდილება, რომ დასავლეთს სურს რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება, რუსეთს კი არა! – თქვა ჯონსონმა.

მინისტრმა ხაზი გაუსვა, რომ სანამ დონბასში ომი არ შეწყდება, ხოლო ყირიმი უკრაინას არ დაუბრუნდება, რუსეთთან ურთიერთობების ნორმალიზება გამორიცხულია.

– რუსეთზე ზეწოლა უნდა გაგრძელდეს! – ამბობს ჯონსონი.

# „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით სტამბოლში 82 ადამიანი დააკავეს

თურქეთის უსაფრთხოების სამსახურმა ტერორისტულ ორგანიზაცია „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის ბრალდებით სტამბოლში 82 ადამიანი დააკავა.

ტელეარხის ინფორმაციით, ანტიტერორისტული ოპერაცია სტამბოლის შვიდ უბანში ჩატარდა. დაკავებულებს ბრალად ედებათ სირიაში „ისლამური სახელმწიფოს“ მხარეს საბრძოლო მოქმედებებში მონაწილეობა.




აღსანიშნავია, რომ 9 ნოემბერს, ანტიტერორისტული ოპერაციის ფარგლებში, თურქეთის დედაქალაქ ანკარაში „ისლამურ სახელმწიფოსთან“ კავშირის გამო 100 ადამიანი დააკავეს.

**მოამზადა**
**ნიკა თევზაძემ**

# ეუთო დონბასში ფართომასშტაბიან საბრძოლო მოქმედებებს ვარაუდობს

## პოლონეთსა და ისრაელს უკრაინის მიმართ პრეტენზიები აქვთ



**მარიამ მჭედლიშვილი**

თეთრ სახლს ჯერჯერობით არ გაუკეთებია კომენტარი ამერიკული მედიით გავრცელებულ ინფორმაციაზე იმის შესახებ, რომ აშშ მოსკოვის ინიციატივის საპასუხოდ რუსეთს შესთავაზებს უკრაინის დონბასში საერთაშორისო სამშვიდობო ძალების განთავსებას. საუბარია 20.000 ცისფერჩაფხუტიანზე.

სექტემბერში გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომაზე რუსეთმა წამოაყენა წინადადება ამ რეგიონში სამშვიდობო მისიის განთავსების თაობაზე.

რამდენიმე დღის წინ სახელმწიფო დეპარტამენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა უკრაინაში კურტ ვოლკერმა განაცხადა, რომ ვაშინგტონს საინტერესოდ მიაჩნია დონბასში სამშვიდობო მისიის განლაგების ინიციატივა. მისივე თქმით, ვაშინგტონმა თხოვნით მიმართა კიევს, ამ საკითხზე შეუთანხმდეს რუსეთს და არ წამოაყენოს თავისი ალტერნატიული რეზოლუციის პროექტი.

სამშვიდობო პერსპექტივის პარალელურად, ექსპერტები გამოთქვამენ პროგნოზს დონბასში ღია საბრძოლო მოქმედებების დაწყების შესახებ. არსებობს მოსაზრება, რომ ამას ხელს შეუწყობს აშშ-დან მიღებული დახმარება.

„ახალი თაობა“ წერდა, რომ კონგრესმა დაამტკიცა მომავალ წელს უკრაინის თავდაცვის სფეროსათვის 350 მილიონი დოლარის გამოყოფის საკითხი. თანხის ნახევარი თავდაცვით და ლეტალურ შეიარაღებას მოხმარდება, ნახევარს კი უკრაინა სამხედრო სფეროში რეფორმების გატარების შემდეგ მიიღებს.

სამი წლის განმავლობაში უკრაინამ ამერიკიდან სამხედრო სფეროსთვის 750 მილიონი დოლარის ოდენობის დახმარება მიიღო. ესაა ტექნიკა, შეიარაღება, ასევე უკრაინის არმიის გაწვრთნა.

სიტუაციის ესკალაციას დონბასში ვარაუდობს ეუთოს გენერალური მდივანი ტომას გრემინგერი. მისი შეფასებით, მოლაპარაკებების პროცესი ამ საკითხზე ჩიხში შევიდა. გაეროს სამშვიდობო მისიას კი შეუძლია გადაიტანოს ყურადღება ძირითადი საკითხიდან – მინსკის შეთანხმებების შესრულებიდან.

ეუთოს მაღალჩინოსანი საფრთხეს ხედავს იმაში, რომ დონბასში შეხების ხაზზე უამრავი მძიმე შეიარაღება დაგროვდა. ამის გამო დიდია ფართომასშტაბიანი საბრძოლო მოქმედებების განახლების რისკი.

უკრაინის პრობლემები რჩება მსოფლიოს ყურადღების ცენტრში. აშშ-დან და ევროკავშირიდან მხარდაჭერის პარალელურად, უკრაინის მიმართ იზრდება პრეტენზიები დასავლეთის ბანაკის სახელმწიფოების ნაწილის მხრიდან.

მათ შორის არიან პოლონეთი, უნგრეთი, რუმინეთი და ისრაელი.

პოლონეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ვიტოლდ ვაშჩიკოვსკიმ მორიგი განცხადება გააკეთა უკრაინის მიმართ. მისი თქმით, უკრაინას არ სურს პრობლემების მოგვარება პოლონეთთან, უნგრეთთან და რუმინეთთან, რაც კიევს რეალურ პრობლემებამდე მიიყვანს.

სხვა საკითხების გარდა, ვარშავა კიევს ნაციონალისტური ჯგუფების გმირებად წარმოჩენას ედავება. მინისტრის სიტყვებით, პოლონეთისთვის მიუღებელია უკრაინის მეამბოხეთა არმიის („უპა“) იდეალიზაცია. მისივე განცხადებით, უკრაინა პოლონეთს იყენებს რუსეთის აგრესიასთან ბრძოლის საფარქვეშ.

უკრაინის მეამბოხეთა არმიის, ასევე უკრაინელი ნაციონალისტების ორგანიზაციის წინააღმდეგ ისრაელის მედიაც გამოდის. ისრაელის გამოცემები უკრაინას ბრალად სდებენ მეორე მსოფლიო ომის დროს მოქმედი რადიკალური ნაციონალისტური ძალების გათეთრებასა და ისტორიული ფაქტების დამახინჯებას.

ავტორების განცხადებით, უკრაინაში ბოლო წლებში ცდილობენ იმის დამტკიცებას, რომ მაშინდელ უკრაინელ ნაციონალისტებში ებრაელებიც იყვნენ. არადა, მაშინდელი უკრაინელი ნაციონალისტები ჰოლოკოსტშიც მონაწილეობდნენ. ამ მხრივ მოჰყავთ ებრაელი დობროვსკის მაგალითი. კომუნისტი დობროვსკი 1941 წელს ტყვედ ჩავარდა. მან გვარი გადაიკეთა და ებრაელობა დამალა. ტყვეობიდან გამოქცეული დობროვსკი გზად ნაციონალისტებს შეეჩეხა. მან ამჯერადაც დამალა, რომ ებრაელი იყო და მათ რიგებს შეუერთდა. უკრაინელები მის ტრაგიკულ ამბავს თავიანთ სასარგებლოდ იყენებენ და ნაციონალისტებს აფეტიშებენ.

# იოჰანეს ჰანი: „ჩვენ საქართველოსთან ასოცირების ხელშეკრულების დადებით შედეგებს ვხედავთ“

ევროპის სამეზობლო პოლიტიკისა და გაფართოების თაობაზე მოლაპარაკებების საკითხებში ევროკომისარი იოჰანეს ჰანი ევროკომისიის ანგარიშს საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე გამოეხმაურა.

– ჩვენ ასოცირების ხელშეკრულების დადებით შედეგებს ვხედავთ. ევროკავშირი-საქართველოს ასოცირების დღის წესრიგი 2020 წლამდე ერთობლივი მუშაობისთვის პრიორიტეტების პრაქტიკულ ჩარჩოს უზრუნველყოფს. ევროკავშირის სტანდარტებთან და რეგულაციებთან დაახლოება საქართველოს საშუალებას აძლევს უფრო მეტად გახდეს მოთამაშე საერთაშორისო ბაზარზე. ევროკავშირი საქართველოს ყველაზე მსხვილი სავაჭრო პარტნიორია და 2017 წელს ეს მაჩვენებელი უფრო გაიზარდა. ის, რომ 2017 წლის ივლისში საქართველო ენერგეტიკულ გაერთიანებაში გაწევრიანდა, კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ეტაპია, რომელმაც ევროკავშირი და საქართველო დააახლოვა, – განაცხადა იოჰანეს ჰანმა.



ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე ევროკომისიის ანგარიში გუშინ გამოქვეყნდა. დოკუმენტი 2016 წლის დეკემბრიდან 2017 წლის ბოლომდე პერიოდს მოიცავს და მასში შეფასებულია საქართველოს მიერ ასოცირების შესახებ შეთანხმების ფარგლებში სხვადასხვა მიმართულებით განხორციელებული რეფორმების პროგრესი.

# ფედერიკა მოგერინი: „საქართველოს რეფორმების დღის წესრიგში პროგრესია“



ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი საგარეო პოლიტიკისა და უსაფრთხოების საკითხებში ფედერიკა მოგერინი საქართველოს მიერ ასოცირების შეთანხმების შესრულების თაობაზე ევროკომისიის ანგარიშს გამოეხმაურა.

– ევროკავშირმა და საქართველომ ბევრი ჩადეს მტკიცე პარტნიორობაში, რაც უფრო და უფრო ძლიერი ხდება და ჩვენს მოქალაქეებს დიდ სარგებელს აძლევს. მარტის თვიდან საქართველოს მოქალაქეებს შეუძლიათ შენგენის ზონაში უვიზო რეჟიმით სარგებლობა. ჩვენ ვხედავთ უფრო მეტ გაცვლას ჩვენს სტუდენტებს შორის და ჩვენი ბიზნესისთვის ვაჭრობის უფრო მეტი შესაძლებლობაა. დღევანდელი ანგარიში ცხადყოფს საქართველოს რეფორმების დღის წესრიგში აშკარა პროგრესს. ევროკავშირი განაგრძობს იმ სამუშაოს მხარდაჭერას, რომელიც კიდევ განსახორციელებელია რამდენიმე მნიშვნელოვან სფეროში და ერთგული დარჩება ასოცირების ხელშეკრულების ჩვენი დღის წესრიგისადმი, – განაცხადა ფედერიკა მოგერინიმ.

# ილია ჭავჭავაძის სახლი თბილისში უმძიმეს მდგომარეობაშია

წელს ილია ჭავჭავაძის დაბადებიდან 180, ხოლო მკვლელობიდან 110 წელი შესრულდა. ამ ორ მრგვალ თარიღს საქართველოში სხვადასხვა ღონისძიებით აღნიშნავენ. 8 ნოემბერს ილია ჭავჭავაძის იუბილე თითოეულმა ქართველმა სხვადასხვაგვარად აღნიშნა.

სალომე ჭანტურიძემ თბილისში მდებარე ილიას სახლის მძიმე მდგომარეობაზე ინფორმაცია გაავრცელა და ფოტოებიც ინტერნეტში გამოფინა:

— ბევრს საუბრობთ ილია ჭავჭავაძეზე, ბევრი ბანერი შემხვდა ქუჩაში, ბევრს უყვარს, ვიცი, მაგრამ ცოტამ თუ იცის მისი საცხოვრებელი სახლის მძიმე მდგომარეობის შესახებ. ილია ჭავჭავაძის სახლის პროექტი. 1904 წელი. გიორგი ჩუბინაშვილის, ყოფილი ანდრეევსკის ქუჩა. განხორციელდა შეცვლილი სახით. ილია ჭავჭავაძემ არქიტექტორ სვიმონ კლდიაშვილს, ეროვნებით ქართველს, პირველი აკადემიური განათლების მქონე არქიტექტორს, სათავადაზნაურო გიმნაზიის, ახლანდელი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველი კორპუსის მშენებელ-არქიტექტორს სახლის აგების თხოვნით წერილიც კი მისწერა. აიგო შეცვლილი სახით.



ილია ჭავჭავაძის სახლის მძიმე მდგომარეობაზე ინფორმაცია რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნდა. ჯერ არაფერი შეცვლილა. ამდენი ბანერისათვის გამოყოფილი თანხით გადახურვის პრობლემის გადაჭრა შეიძლებოდა.

# კარავაჯო-ბოტიჩელის გამოფენას აკრიტიკებენ

დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნულ გალერეაში მსოფლიოში ცნობილი მხატვრების ბოტიჩელისა და კარავაჯოს ნამუშევრების გამოფენა მიმდინარეობს.

ბოტიჩელის „ვენერა“ და კარავაჯოს ნამუშევრების რეპროდუქციები ხელოვნებათმცოდნეებმა გააკრიტიკეს.

სოფო კილასონია:

— სურათების ეროვნულ გალერეაში ბევრნაირი გამოფენა მინახავს. ძალიან ცუდი, საშუალო, საინტერესო. კარგიც. მაგრამ იმაზე უფრო შემზარავი, ვიდრე ახლანდელია, ბოტიჩელი-კარავაჯო, არაფერი! განა იმიტომ, რომ უშნოა რამე, თუმცა საკმაოდ უშნოც არის ამხელა ბოქსები ამ სივრცეში, ანდა არაეფექტური, ეფექტსაც გააჩნია, ან არაინფორმაციული. უბრალოდ, რამდენიმე ძალიან მნიშვნელოვანი ცნება, ფასეულობა, ხელოვნების ნაწარმოების ამოცანა და სახელოვნებო მუზეუმის მისია ასე ერთბაშად არცერთ სხვას არ გაუყალბებია. აღარაფერს ვამბობ ამ პროექტით მაყურებლისთვის შეთავაზებულ ინფორმაციაში ჩაშვებული უთვალავი არაფრისმომცემი კითხვის ნიშნის, არასწორი ინფორმაციისა და ძალიან აცდენილი შთაბეჭდილების შესახებ. მთლიანობაში, პროექტი უზარმაზარ ინტერესს იმეტებს იმედგაცრუებისთვის. იმედგაცრუებული საზოგადოება კი რთული შემოსაბრუნებელია.

პ.ს. სულ სხვა ამბავია, თუ როგორ ზარალდება პროექტის ერთადერთი ხელოვნების ნაწარმოები, ბოტიჩელის „ვენერა“.

ლიკა ჭკუასელმა კი ქეთი შავგულიძის ფოტოები ინტერნეტში გაავრცელა და ეროვნული მუზეუმი თანამედროვე ხელოვნების განვითარებისთვის თანხის არქონაში დაადანაშაულა:

— ისევ. ქვეყნის დედაქალაქის მთავარ გამზირზე, ეროვნულ მუზეუმში, ეს „გამოფენა“. თანამედროვე ხელოვნების განვითარებისთვის არასდროს თანხა არ აქვთ ან სურვილი, რამე წვლილი შეიტანონ, თუნდაც სივრცის დათმობით. ამ სამარცხვინოობაში ამ



დროს დიიიიიდ ფულს ხარჯავენ. ფურცელზე ამობეჭდილი კარავაჯო ლაითბოქსებში.

ხელოვნებათმცოდნეების კრიტიკის მიუხედავად, მხატვარი გია ბუღაძე 11 ნოემბერს საჯარო ლექციას გამართავს სახელწოდებით „კარავაჯო — ადამიანი და ეპოქა“. ლექცია გაიმართება გამოფენის „უნივერსალური ღირებულებები: ბოტიჩელი — სილამაზე, კარავაჯო — სინათლე“ ფარგლებში და მასზე დასწრება თავისუფალია.

**მოამზადა ეკა ირემაშვილმა**

# ადრიანო — დაცემული იმპერატორი

ზოგი ადამიანი ივიწყებს ცხოვრებისეულ კოშმარს და დროთა განმავლობაში ჩვეულ ყოველდღიურობას უბრუნდება. თუმცა, არიან ისეთებიც, რომლებიც სულიერ ტანჯვას ვერ უმკლავდებიან. ბრაზილიელი ფეხბურთელი ადრიანო სწორედ ის ადამიანია, რომელიც სამუდამოდ ჩარჩა ბნელ ოთახში.



1999-ში 17 წლის ბრაზილიელმა თავდამსხმელმა მსოფლიო ჩემპიონატი მოიგო თანამემამულე იუნიორებთან ერთად. დაკვირვებულმა იტალიელმა სკაუტებმა ის ოპერატიულად შენიშნეს და ევროპაში დაუძახეს.

პერსპექტიული ფორვარდი ინტერმა გაიფორმა და კალჩოსთან ადაპტირებისთვის ჯერ ფიორენტინაში, შემდეგ კი პარმაში გაუშვა. საცხოვრებელი ადგილის სისტემატური ცვლის გამო ადრიანოში მშობლიური კუთხეებისადმი მონატრება ნელ-ნელა იღვიძებდა.

ადრი კრუზეიროს ფაველაში დაიბადა და გაიზარდა, ქალაქის ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო რაიონში. მისი მეგობრები ჩვეულებრივი ბიჭები არიან გაჭირვებული ოჯახებიდან, რომელთა ინტერესი არის ფეხბურთი, ალკოჰოლი, მანქანები და ჩხუბი.

ასეთი ხალხი ორმაგად არის მოწყურებული ფუფუნებაში ცხოვრებას და გაბრუებულ გონებაში ყოველ ნაბიჯს გეგმავენ, თუ რას გააკეთებენ ფულის შოვნის შემთხვევაში.

სამწუხაროდ, მათი უმეტესობა მშობლიურ ადგილებში სამუდამოდ რჩება, თავს კი ვაჭრობითა და ყაჩაღობით ირჩენენ ისე, რომ უდარდელ ცხოვრებაზე ფიქრს მხოლოდ ოცნებაში თუ ახერხებენ. ადრიანო ადრეულ ასაკშივე მოშორდა ამ ყველაფერს, თუმცა დროთა განმავლობაში ბრაზილიური ცხოვრების რეალიები ბუმერანგივით დაუბრუნდა.

ბრაზილიელს ძალიან უყვარდა მამა. ის მისი პირველი მწვრთნელი იყო. ალმირმა (ადრიანოს მამის სახელი) შვილის ფეხბურთელად ჩამოყალიბებაში უმნიშვნელოვანესი როლი შეასრულა.

სწორედ მისი დამსახურებით ჰქონდა ადრის ყუმბარისებური ზუსტი დარტყმა მარცხენით და შესაშური ფიზიკური ფორმა. შვილის წასვლის შემდეგ მამამაც მოიწყინა და ყურადღების გადასატანად სა-

გაგრძელება მე-9 გვერდზე

**სახალხო მკურნალი ლამარა თოდუა** მოგირჩენთ სახის კანის გამონაყარს უმტკივნეულოდ და ყოველგვარი გაღიზიანების გარეშე. მოგაშორებთ ლაქებსა და ნაოჭებს.

**ვმკურნალობ: 1. სებორეას; 2. გამაგრებას; 3. დამწვრობას; 4. ჰაიმორიტს; 5. ფრონტიტს; 6. თმის ცვენას, თუნდაც ბუდობრივს; 7. ქერტლს; 8. ტილებს მოგაშორებთ ერთი პროცედურით; 9. დისბაქტერიოზს, შეკრულობას, აშლილობას. 10. პროსტატიტს, ბუასილს; 11. კუჭის წყლულს; 12. გულძმარვას („იჟოგას“); 13. მასტოპათიას, მკერდის გამაგრებას; 14. გამაგრებულ ნანემსარს; 15. ნაწოლებს დაჩირქებულს, თუნდაც დიაბეტიანებს; 16. მოვხსნი მეჭეჭებს; 17. განვკურნავ ჭიებისგან; 18. დავშლი კენჭებს, მოგაშორებთ მარილებს; 19. სოკოვან დაავადებებს; 20. გასქელებულ ფრჩხილებს და დახეთქილ ქუსლებს.**

მაქვს ძალიან ეფექტური, ბუნებრივი წამლები.

მსურს დაგეხმაროთ ჯანმრთელობის აღდგენაში.

**მისამართი: ოთარ ჭილაძის ქ. №166. მე-10 კორპუსი.**
**ტელ.: 230 62 52; 599 16 10 82**

# განცხადებები

**ჯანმრთელობა, მკურნალობა**

● ონკოლოგიური დაავადებების შეჩერება, ხშირ შემთხვევაში უკუსვლა, მეტასტაზების სრული განადგურება. იმ შემთხვევაშიც კი, თუ პაციენტი ქიმიოთერაპიას იტარებს, ქიმიოთერაპიის ეფექტიანობის გაზრდა, პაციენტის სიცოცხლის ხარისხის გაუმჯობესება მცენარეული პროდუქციითა და ზეთებით. მოგემსახურებათ სერტიფიცირებული ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 597 98 95 99, 599 45 88 66

● ალკოჰოლიზმისაგან ხარისხიანი გათავისუფლება მცენარეული, უსაფრთხო პროდუქციით, „ზაპოისა“ და ყველანაირი გართულების მოწესრიგებით, კუჭ-ნაწლავისა და სხვა ქრონიკული დაავადებების მოგვარება, ფსორიაზისა და კანის სხვადასხვა დაავადების აბსოლუტური განკურნებით. მოგემსახურებათ კვალიფიციური ექიმი-ფიტოთერაპევტი. ტელ: 599 45 88 66, 597 98 95 99

● კუჭ-ნაწლავის მკურნალობა: კოლიტი, დისბაქტერიოზი, დიარეა, კრონი, ბუასილი, გამონაყარი სახესა და ტანზე ასაკობრივი და პარაზიტული, უსიამოვნო სუნი პირიდან და ორგანიზმიდან, გულ-სისხლძარღვთა სისტემის საერთო წმენდა-გაძლიერება-გაახალგაზრდავება. 100%-იანი შედეგებით. ტელ: 571-72-03-11; 247-58-83.

● სქესობრივი უძლურება (იმპოტენცია), პროსტატიტი, ადენომა (ავთვისებიან გადაგვარებაზეც!), შარდვის პრობლემების: ხშირი და უნებლიე, შეკავება-შეუკავებლობა, წვა, ქავილი, ტკივილი, უშვილობა, ენურეზი (გენეტიკურიც), ქრონიკული ინფექციები (ვენერიული) — მკურნალობა და გაწმენდა ვირუსებისგან უახლესი მეთოდებით. ტელ: 577-29-37-41; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● მეხსიერების გაუმჯობესება, ტვინის კვების აღდგენა, სკლეროზის, ინსულტის, ინფარქტის, ტრომბის პროფილაქტიკა, გულ-სისხლძარღვთა სისტემის გაწმენდა ქოლესტერინისგან, წნევების დარეგულირება, წონის დაკლება 5-დან 20კგ-მდე თვეში, მომატება 2-6კგ-მდე. შედეგები 100%-იანი. ტელ: 577-29-37-41; 247-58-83 ქ-ნი ქეთევანი.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული ჩვევა-დამოკიდებულებისგან სწრაფად განთავისუფლება. ნერვული სისტემის მოწესრიგება: შიშების, უძილობის, აგრესიის, დეპრესიის, აკვიატებების, ეჭვიანობის, ასევე: ღვიძლისა და კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პათოლოგიის მკურნალობა: ციროზი, ჰეპატოზი, გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიოზი, აშლილობა, კრონი. ორგანიზმის გაწმენდა ყველანაირი ტოქსინისგან. ტელ: 599-72-21-38; 234-02-38 ქ-ნი ქეთევანი.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი და ეფექტური მეთოდი 3-6 სმ-ის მატებით. შედეგიანია გენეტიკური სიდაბლის დროსაც. მკურნალობა მცენარეული ძვლის მკვებავი მინერალებისა და ზვიგენის ხრტილის ვიტამინებისა და ამინომჟავების ნაკრებით + ვარჯიშებით, ხერხემლის პათოლოგიების გამოვლენისას სხვა განსაკუთრებული, ინდივიდუალური მეთოდებით. ასევე გახდომა თვეში 6-22კგ-მდე, მომატება 2-6კგ-მდე შიმშილის, ვარჯიშებისა და აკრძალვების გარეშე. პროგრამა-დანიშნულება ყველა პაციენტთან ინდივიდუალურია. ტელ: 599-72-21-48; 234-02-38 ქ-ნი მარიამი.

● ძვალ-სახსართა პრობლემების: კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატოიდული ართროზის, პოდაგრის, ოსტეომიელიტის, ანკილოზივური სპონდილიტას, პოლიართრიტის, ყველა სახის ხერხემლის გამრუდების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილებისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილის სინდრომის მოხსნა, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა, მკურნალობა უშედეგოდ ნაოპერაციებ სახსრებზე. ტელ: 599-90-54-78; 247-58-83 ქ-ნი ქეთათო.

● სტომატოლოგიური მომსახურეობა ბინაზე გამოძახებით, კბილების პროთეზირება. ერთი ყბის ფასი 130 ლარი. კეთდება რუსული, იტალიური, იაპონური კბილები, გარანტიით. ტელ: 555-72-64-98.

●კოქსართროზის, ოსტეოქონდროზის, რევმატიზმის, პოდაგრების, ართრიტების მკურნალობა, დაზიანებული ხრტილისა და გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა, ტკივილის სინდრომის მოხსნა, სითხის დაბალანსება სახსარში, მოძრაობის შეზღუდვის აღდგენა — შედეგები 100%-იანია. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 558-15-63-33; 218-46-08 ექიმი ნინო.

● ალკოჰოლური და ნარკოტიკული დამოკიდებულებისგან სწრაფი გათავისუფლება, ნერვული სისტემის მოწესრიგება (უძილობა, შიშები, აგრესია, დეპრესია), ღვიძლის დაავადებების მკურნალობა, კუჭ-ნაწლავის ნებისმიერი პრობლემის მოგვარება: გასტრიტი, კოლიტი, დისბაქტერიები, დიარეა, ორგანიზმის გაწმენდა ტოქსინებისგან 100%-იანი შედეგებით. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-25-44-14; 218-48-99 ექიმი ქ-ნი მზია.

● მკურნალობა მამაკაცებისათვის გარანტირებული შედეგებით — იმპოტენცია, პროსტატიტი, ადენომა, ხშირი შარდვა, შარდის შეკავება-შეუკავებლობა, უნებლიე შარდვა, წვა, ქავილი, ტკივილი, ქრონიკული ინფექციები (ვირუსები, ვენერიული) — მკურნალობა უკუჩვენების გარეშე. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 595-293-299; 218-14-90 ექიმი ქ-ნი ინგა.

● სიმაღლეში ზრდის სწრაფი მეთოდი თვეში 3-5 სმ, ძვლის მკვებავი მინერალები + ვარჯიშები, ეფექტურია გენეტიკური სიდაბლის დროს, ასევე გახდომა თვეში 5-20 კგ ინდივიდუალური მეთოდი ყველა პაციენტთან — შედეგები 100%-იანი. მის: ალმაშენებლის 154, „მწვანე ოფისი“. ტელ: 599-96-44-94; 218-46-08 ექიმი ქ-ნი სალომე.

# ნიკეს თასის თავგადასავალი



ამ დღეებში უნდა გაირკვეს 2018 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის მონაწილე ყველა გუნდი. ეს ადვილი საკითხია — გუნდები უკვე დაწყვილებულნი არიან და მოედანზე გაარკვევენ ურთიერთობას. გასარკვევი ნიკეს თასის ბედია, რომელსაც საოცარი თავგადასავალი აქვს.

დანამდვილებით არის ცნობილი: მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალური ეტაპის კენჭისყრის დროს ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის ვიცეპრეზიდენტმა აშკარა უკმაყოფილებით ამოიღო გაცვეთილი შავი ზანდუკიდან ოქროს ნიკეს თასი და ფიფას პრეზიდენტ სტენლი როუზს გადასცა.

— რა იპოვეს ამაში ასეთი, დროზე მოვიგოთ მესამედ და სამუდამოდ წავიღოთ ბრაზილიაში, — წუწუნებდნენ ბრაზილიელები.

უნდა აღინიშნოს, რომ ინგლისში სპორტული პრიზების მოპარვა დიდი ხანია სახალხო გასართობად თუ სპორტის ერთგვარ სახეობად იყო გადაქცეული. მაგალითად, მსოფლიო ფეხბურთის უძველესი პრიზი — ინგლისის თასი — ჯერ კიდევ 1895 წელს მოიპარეს და მას შემდეგ გამარჯვებულს მხოლოდ ასლს გადასცემენ.

დიდი ხანი ფიფას პრეზიდენტი სერ სტენლი როუზი ზრდილობიან, მაგრამ მტკიცე უარს ეუბნებოდა სხვადასხვა ღონისძიების, გამოფენისა თუ ფორუმის ორგანიზატორებს, რომლებიც ძვირადღირებულ ქანდაკებას „დროებითი მოხმარებისთვის“ ითხოვდნენ.

რთული სათქმელია, სადამდე მივიდნენ თავიანთ თხოვნებში ლონდონის მე-17 ფილატელისტური გამოფენის ორგანიზატორები, მაგრამ მათთვის გამონაკლისი დაუშვეს და მომდევნო დღეს, 1966 წლის 20 მარტს, მთავარი საფეხბურთო თასი გაიტაცეს, მიუხედავად იმისა, რომ 4 პოლიციელი თვალს არ აცილებდა მას.

გამოფენიდან, რომელიც ვესტმინსტერის სააბატოს ცენტრალურ ჰოლში იყო განთავსებული, პრიზი დღისით, მზისით გაქრა. საქმე ისაა, რომ 20 მარტი კვირა იყო, გამოფენა არ მუშაობდა და პოლიციელები შინ გაუშვეს. თასის გარდა, ჰოლში გამოფენილი იყო 3 მილიონი გირვანქა სტერლინგის ღირებულების მარკების კოლექცია, მაგრამ მოიპარეს მხოლოდ საფეხბურთო ჯილდო, რომელიც იმ დროს მხოლოდ 10.000 გირვანქად იყო შეფასებული.

მალე სამხრეთ ლონდონში ეჭვმიტანილი დააკავეს — ვინმე ედვარდ ბლეჩლი. თუმცა, ქანდაკება მას არ აღმოაჩნდა და თავად ბლეჩლისაც არაფერი უღიარებია. ფიფას პრეზიდენტმა ჩათვალა, რომ დამნაშავეებმა უკვე გადაადნეს ოქროს ქალღმერთი და ის ოქროს ზოდის სახით გაყიდეს. ამიტომაც მოლაპარაკებები დაიწყო ლონდონის გილდიის წარმომადგენლებთან ასლის დასამზადებლად.

## პიკლზი — ერის გმირი

მაგრამ ასლი საჭირო არ გახდა. ჟიულ რიმეს თასი საინტერესო გარემოებებში იპოვეს. ზუსტად ერთი კვირის შემდეგ, 27 მარტს, მეისრე დევიდ კორბეტი ბაღში სეირნობდა თავის 8 წლის „უჯიშო“ ძაღლთან ერთად, რომელსაც პიკლზი ერქვა. ჭკვიანმა ცხოველმა ბუჩქის ძირას ქაღალდში გახვეული რაღაც ნივთი აღმოაჩინა და ყეფით მიაპყრო მას პატრონის ყურადღება. რაოდენ დიდი იყო დევიდის გაკვირვება, როცა გაზეთი გახსნა და იქ სწორედ ის ნივთი აღმოაჩინა, რასაც რამდენიმე დღე ეძებდა „მთელი სამეფო კავალერია“ — ოქროს ქალღმერთი.

კორბეტისა და მისი ძაღლის ფოტო კიდევ დიდი ხანი არ ჩამოდიოდა მსოფლიო გაზეთების პირველი გვერდებიდან. პატრონმა ჯილდოდ 6.000 გირვანქა მიიღო. კიდევ 5.000 მისცა ერთ-ერთმა სადაზღვევო სააგენტომ, 1.000 — ფულემის პრეზიდენტმა, მომღერალმა ტომი ტრინდერმა.

მაგრამ ერის ნამდვილი გმირი პიკლზი გახდა. ძაღლების დაცვის ლიგამ ის სპეციალური მედლით დააჯილდოვა და სამუდამოდ აღიარა თავის საპატიო წევრად. ცხოველთა საკვების მწარმოებელი ერთ-ერთი ფირმა უფასოდ კვებავდა ძაღლს სიცოცხლის ბოლო წუთებამდე და „ეროვნულ გმირს“ ძაღლის დელიკატესებით ყოველდღე ამარაგებდა.

„უჯიშო“ ცხოველის ტრიუმფის მწვერვალი აღმოჩნდა მონაწილეობა კომედიურ მოკლემეტრაჟიან ფილმში „გამომძიებელი ცივი ცხვირით“, რომელმაც პიკლზის პატრონს ასევე კარგი შემოსავალი მოუტანა.

ძაღლის უმნიშვნელოვანესმა როლმა ოქროს ქალღმერთის ისტორიაში გაამყარა ოთხფეხა მეგობრების მიმართ ნისლიანი ალბიონის მცხოვრებთა ისედაც დიდი სიყვარული.

არც ისე იშვიათად ინგლისში ეს სიყვარული ყველაზე უცნაურ და მოულოდნელ ფორმებს იძენს. მაგალითად, იმავე მსოფლიოს ჩემპიონატის დროს საფრანგეთისა და ურუგვაის ნაკრებების საფეხბურთო შეხვედრა „უემბლიდან“ სხვა სტადიონზე გადაიტანეს. მიზეზი ბანალური იყო: იმ დღეს ქვეყნის მთავარ სპორტულ არენაზე დაგეგმილი იყო... ძაღლების დოღი.

## ორი მცდელობა

ინგლისურ ინციდენტამდე და შემდეგაც იყო ნიკეს გატაცების მცდელობები...

პირველი მცდელობა: ფაშისტების ფიასკო

ცნობილია, რომ ნაცისტებს არაჯანსაღი ინტერესი ჰქონდათ რელიკვიების მიმართ, მაგალითად, დიდი მონდომებით ეძებდნენ წმინდა გრაალს... და გასაკვირი იქნებოდა, მათ ოქროს ქალღმერთის მოპარვა რომ არ ეცადათ. იტალიის ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტ ოტორინო ბარასის ეს კარგად ესმოდა. 30-იანი წლების დასასრულს მისი ქვეყანა მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი იყო. ამიტომაც თასი რომში, ადგილობრივ ბანკში ინახებოდა. ბარასიმ გადაწყვიტა, დასწრებაზე ეთამაშა: საცავში შევიდა და ნიკე გამოიტანა. ნაცისტები ხვდებოდნენ, რომ თასი ბარასის ჰქონდა, მაგრამ ვერ ამტკიცებდნენ. მათ არაერთხელ გაჩხრიკეს პრეზიდენტის სახლი, მაგრამ ცარიელი ხელებით ბრუნდებოდნენ უკან. ქალღმერთი კი მათ ცხვირწინ იყო — ბარასის ბევრი არ უფიქრია, თასი ძველ ჩექმაში ჩადო და საწოლის ქვეშ დამალა. აი, ასე გადაიტანა ომი ნიკემ.

მეორე მცდელობა: ქურდობა ბრაზილიურად

1970 წელს ბრაზილიელები მესამედ გახდნენ მსოფლიოს ჩემპიონები. შესაბამისად, ნიკე სამუდამოდ მოიპოვეს. თასი ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის შტაბბინაში, სპეციალურ საცავში შეინახეს. ღამით ერის მთავარ განძს ერთადერთი დარაჯი იცავდა და ის მძარცველებმა 1983 წლის 20 დეკემბერს გაკოჭეს. ბოროტმოქმედები კონფედერაციის პრეზიდენტის კაბინეტში შევიდნენ, სეიფი გატეხეს და ქალღმერთი წაიღეს.

ამჯერად ქურდები დაიჭირეს და ციხეში ჩასვეს, მაგრამ — მცირე ხნით. თასი კი... პოლიციამ გამოაცხადა, რომ ნიკე ზოდებად გადაადნეს და გაყიდეს.

## ვერსიები, ვერსიები

ბრაზილიელმა პოლიციელებმა დასკვნა მძარცველთა ჩვენებების მიხედვით გააკეთეს. სხვა მტკიცებულება, რომ თასი აღარ არსებობს, პოლიციას არ აქვს. ამიტომაც ბევრი ენთუზიასტი დღემდე აგრძელებს გამოძიებას.

მართლაც, ოფიციალური ვერსია დამაჯერებლად არ ჟღერს. მძარცველებმა შესანიშნავად იცოდნენ, რომ ქალღმერთის ფასი გაცილებით მაღალია, ვიდრე ნებისმიერი ოქროს ზოდის. მაგრამ, ბოლოს და ბოლოს, ვინ გახდა მსოფლიოს თასის მფლობელი? კონსპიროლოგები ასახელებენ ოლიგარქების სახელებს, არაბ შეიხებს... მაგრამ ეს მხოლოდ ვარაუდებია. როგორც ჩანს, შეთქმულების თეორიის მომხრეებს მხოლოდ ერთი ყურადსაღები ვერსია აქვთ, რომელიც მთელ ამ ისტორიას თავდაყირა აყენებს.

## ასლის ასლი

ვერსია ღაღადებს: მას შემდეგ, რაც ნიკე 1966 წელს ლონდონში მოიპარეს, ინგლისელებმა ფიფას ნებართვა სთხოვეს, დაემზადებინათ პრიზის ასლი, რათა ის ეჩვენებინათ პუბლიკისთვის, მაგრამ უარი მიიღეს. თუმცა, ფიფასგან მალულად, ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის იუველირმა ჯორჯ ბერდმა მაინც დაამზადა თასის ასლი მოოქროვილი ბრინჯაოსგან. მსოფლიოს 1966 წლის ჩემპიონატის ფინალურ მატჩზე პოლიციელებმა ორივე თასი მიიტანეს. ინგლისელებმა მოიგეს და მათ კაპიტან ბობი მურს ორიგინალი გადასცეს, მაგრამ შემდეგ პოლიციამ ის ასლით შეცვალა. განსხვავება ვერავინ შენიშნა.

წესის თანახმად, თასი გამარჯვებულთან ინახებოდა მომდევნო ჩემპიონატამდე. 1970 წელს პრიზის დაბრუნების დრო მოვიდა და ინგლისის მთავრობის წინაშე დადგა დილემა: განშორებოდნენ მთავარ სპორტულ სიწმინდეს თუ ის ფეხბურთის სამშობლოში დაეტოვებინათ? დიდი ხანი არ უფიქრიათ და ფიფაში ასლი გააგზავნეს.

თუ ამ ვერსიას ვირწმუნებთ, სწორედ ასლი ასწია თავს ზემოთ პელემ 1970 წელს და სწორედ ეს ყალბი პრიზი მოიპარეს ქურდებმა 1983-ში. ორიგინალი კი დამალეს... ისევ ლოგინის ქვეშ. ამჯერად იუველირ ჯორჯ ბერდის სახლში.

1995 წელს ბერდი გარდაიცვალა და მისმა მემკვიდრეებმა ნიკე აუქციონზე გამოიტანეს. ბრინჯაოს ქანდაკება, რომლის ფასიც, ოფიციალური ვერსიით, გროშები იყო, 254.500 გირვანქად გაიყიდა! ეს არანორმალურ თანხად ჩაითვლებოდა, რომ არ გვცოდნოდა, რომ მყიდველი ფიფა გახლდათ. იქ დარწმუნებულნი იყვნენ, რომ სწორედ ეს იყო ორიგინალი.

რა თქმა უნდა, აუქციონის შემდეგ საფეხბურთო ჩინოვნიკებმა განაცხადეს, რომ ეს მხოლოდ ასლია. მაგრამ მათ არ დაუჯერეს. მეოთხედი მილიონი გირვანქის გადახდა 4 კილოგრამ ბრინჯაოში? ფიფაში არც ისე სულელები მუშაობენ.

სხვათა შორის, ეს ქანდაკება გამოფენილია ინგლისის ქალაქ პრესტონის საფეხბურთო მუზეუმში. თუმცა, იქნებ ეს აუქციონზე ნაყიდი ქალღმერთის ასლია, ხოლო ორიგინალი სადღაც სხვაგან ინახება, ჩვეულებრივი მოკვდავებისთვის მიუწვდომელ ადგილას.

## კიდევ ერთი ვერსია

ინგლისელი პუბლიცისტები ჯიმ ლინჩი და ჯო კოილი დარწმუნებულნი არიან, რომ გერმანელებმა მაინც მოიპოვეს ნიკე, ოღონდ — მეორე მსოფლიო ომის შემდეგ.

1954 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა გერმანია და ნიკე 4 წელი გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში ინახებოდა. 1958 წელს, მსოფლიოს მორიგი ჩემპიონატის წინ, გერმანელებმა თასი ფიფას გადასცეს. ფოტოგრაფმა ჯო კოილმა შეისწავლა თასის ფოტოები, რომელიც 1958 წლის გამარჯვებულს გადასცეს. ის დარწმუნებულია, რომ გერმანელებმა გააყალბეს ჯილდო. ის ოდნავ უფრო მაღალი გახდა, პოსტამენტი კი, რომელზეც ნიკე იდგა, მცირედით შეიცვალა.

სად წაიღეს გერმანელებმა ქალღმერთი? ამაზე პასუხი არ არსებობს.

# ადრიანო — დაცემული იმპერატორი

დასაწყისი მე-8 გვერდზე

ფეხბურთო სკოლა გახსნა, რომელშიც ვარჯიშობდნენ გაჭირვებული ბავშვები ფაველადან.

ადრიანომ იტალიური კარიერა ბრწყინვალედ დაიწყო. პარმაში გატარებულ 44 შეხვედრაში 26 გოლი გაიტანა და საბოლოოდ დაარწმუნა ინტერის ხელმძღვანელობა, რომ გუნდში სასწრაფოდ დასაბრუნებელი იყო. ბრაზილიელი „ნერიაძურის“ ზამთარში შეუერთდა და ჩემპიონატის დარჩენილ 16 მატჩში 9 ბურთის შეგდება მოახერხა.

შემდეგ იყო კოპა ამერიკაზე ბრწყინვალე თამაში, ტურნირის ოქროს ბუცი და რონალდოსთან გავლებული პარალელები (კიჭასავით ცხრიანი და ისიც ინტერიდან). ერთი სიტყვით, ყველაფერი იდეალურად იყო იქამდე, სანამ სამშობლოდან არ დარეკეს და ადრის ტრაგიკული ამბავი არ ამცნეს.

— მას უთხრეს, რომ მამა გარდაიცვალა. ასეთი ამბავი ადამიანს სამუდამოდ ცვლის. მე ვნახე, თუ როგორ ტიროდა. ადრიანომ მოისროლა ტელეფონი და დაიღრიალა, რომ ეს შეუძლებელია. მე, მორატიმ და მთლიანმა გუნდმა გადავწყვიტეთ, რომ უმცროს ძმასავით მოვუვლიდით მას, — წერს ხავიერ ძანეტი თავის ავტობიოგრაფიაში.

ალმირი 44 წლის იყო, როდესაც გულის შეტევისგან გარდაიცვალა. შვილი ვერ შეესწრო მისი ცხოვრების უკანასკნელ პერიოდს, თუმცა ყოველ გატანილ გოლს ზეცაში აწეული ხელებით მას უძღვნიდა. ამის შემდეგ დაიწყო დაღმასვლა, ადრიანომ თავისი პოტენციალის ნახევრის რეალიზებაც კი ვერ მოახერხა. თამაშის ხარისხი დაეცა, ამას დაემატა ზედმეტი წონა, 2 წლის შემდეგ კი ბრაზილიელი გამოტყდა, რომ სასმელს ეტანებოდა.

— მამის გარდაცვალების შემდეგ დეპრესიაში ჩავვარდი, რომელსაც მხოლოდ სასმელის დახმარებით ვუმკლავდებოდი. თავს ბედნიერად მხოლოდ მთვრალ მდგომარეობაში ვგრძნობდი, ამიტომ ალკოჰოლს დიდი რაოდენობით ვიღებდი. მე ვსვამდი ყველაფერს, ვისკის, ღვინოს, ლუდს. ზოგჯერ ვარჯიშზეც კი ნასვამი მივდიოდი. ბაზაზე დილით დროულად რომ ვყოფილიყავი, ღამეს ვათენებდი, რადგან დაძინების შემთხვევაში ადგომას ვერ მოვახერხებდი. თავს საშინლად ვგრძნობდი. დასასვენებელ ოთახში დასაძინებლად მაწვენდნენ, ჟურნალისტებს კი ეუბნებოდნენ, რომ კუნთის ტრავმა მქონდა, — იხსენებს ბრაზილიელი.

ინტერმა ადრი სარეაბილიტაციოდ სან-პაულუში გაუშვა იჯარით. ბრაზილიელმა სასმელს დაანება, რაც მალევე აისახა მის ფორმაზე, ადრიანო „სამფეროვანთა“ საუკეთესო ბომბარდირი გახდა. „ნერიაძურის“ 9 ნომერი თითქოს კარიერის რეანიმირებას ახდენდა, თუმცა მილანში დაბრუნებით ის კვლავ დაუმეგობრდა სპირტიანი სასმელის ბოთლს და ერთი წლის შემდეგ საერთოდ გაწყვიტა კონტრაქტი ინტერთან.

იტალიიდან აბარგების მერე ადრიანო უფრო და უფრო რეგრესირებდა. მან მხოლოდ ერთი სეზონის ჩატარება მოახერხა მაღალ დონეზე, ეს მოხდა ფლამენგოში (31 მატჩი, 19 გოლი).

ალკოჰოლმა, ნარკოტიკებმა და შინაგანმა „დემონებმა“ ნიჭიერი ფორვარდის სული საბოლოოდ „შეჭამეს“. 2015 წელს მას ევროპაში დაბრუნების შესაძლებლობა ჰქონდა, საფრანგეთის მეორე ლიგის ბინადარმა ლე ავრმა ბრაზილიელს კონტრაქტი შესთავაზა. ადრიანო საფრანგეთში ჩაფრინდა, თუმცა მოლაპარაკებების გამართვის ნაცვლად დაიქირავა 18 მეძავი და 30.000 ევროდ ერთი ღამით მოილხინა.

ბრაზილიელის ბოლო გაჩერება ამერიკის მეოთხე დივიზიონის კლუბი მაიამი იუნაიტედი იყო, თუმცა ადრიანოს ერთი მატჩიც არ ჩაუტარებია და ვარჯიშებზეც კი არ მოდიოდა. ამის მაგივრად ის მშობლიურ ფაველებში ატარებდა დროს ძველ მეგობრებთან ერთად. პრესაში კი სევდიანი ისტორიები იწერებოდა ფეხბურთელზე, რომელსაც ერთ დროს რონალდოს შემცვლელს ეძახდნენ.

გავრცელებული იყო ინფორმაცია, რომლის თანახმადაც, ადრიანო ნარკოკარტელის წევრი გახდა და მას 25-წლიანი პატიმრობა ემუქრებოდა. ამის გარდა, იწერებოდა, რომ მან აჩუქა მოტოციკლეტი რიო დე ჟანეიროს ერთ-ერთ ცნობილ დილერს, ბაიკი კი ისედაც იყო გაფორმებული სხვა ნარკომოვაჭრეზე. საკმარისი მტკიცებულებების არქონის გამო ამბავი ჩაწყნარდა, თავად ადრიანომ კი შემდეგი კომენტარი გააკეთა:

— ვიცოდი, რომ ყველაფერი მოგვარდებოდა. პატიოსანი ადამიანი ვარ, ვიხდი გადასახადებს, ვეხმარები გაჭირვებულებს და ჩემი ფესვებითაც ვამაყობ. არა აქვს მნიშვნელობა, როგორ შოულობენ ფულს ჩემი ბავშვობის მეგობრები, მთავარია ერთგულება.

ადრიანო ახლო კავშირში იმყოფება რიოს ერთ-ერთ ყველაზე სახიფათო ბანდასთან, სახელწოდებით „სისხლისფერი გუნდი“. მან თითქმის მთელი თავისი ქონება უკვე დახარჯა მეძავებსა და სხვა გასართობ საშუალებებზე. ის არ იძლევა ინტერვიუებს, არც ადასტურებს და არც უარყოფს მასზე გავრცელებულ ჭორებს.

ვილაცისთვის ადრიანო დაცემული იმპერატორია, ვილაცისთვის კი — უბრალო ბიჭი ბრაზილიის ქუჩებიდან. მან ძალიან ადრეულ ასაკში დააღწია თავი გაჭირვებას, თუმცა, როცა დრო მოვიდა, ვერ გაუმკლავდა ზეწოლას. 2017 წლისთვის ადრი თითქოს გამოსწორების გზას დაადგა.

მის ინსტაგრამში ველარ იხილავთ ავტომატის, საეჭვო ხალხისა ალკოჰოლის სურათებს. ეს ყველაფერი ჩაანაცვლა ლამაზმა სახლმა, მანქანებმა და ტრენაჟორებმა.

მოამზადა მიხეილ ყორყოლიანმა



# TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა TV პროგრამა

## ორშაბათი 13 ნოემბერი

07.30 "ნამდვილი დრო" 08.00 ანიმაცია. "მაშველი ლეკვები" 09.00, 12.00, 15.00, 18.00, 21.00 "მოამბე" 09.15, 03.00 ტ/სერ. **"ჩენტო ვეტრინე"** 10.00, 02.00 "პირადი ექიმი" 11.00 ტ/სერ. **"ძველი ხიდის საიდუმლო"** 12.15"სპორტის დაფა" 12.40"კვირის ინტერვიუ"- ირაკლი აბსანძე 13.25, 22.15 ტ/სერ. **"სახელმწიფო მდივანი"** 14.30დოკ/ფ "ავტოდახმარება" 15.30, 04.00 დოკ/ფ "მუზეუმის საიდუმლოებანი" 16.30 ტ/სერ. **"ველვეტი"** 18.00 **ფეხბურთი.** საერთაშორისო ამხანაგური მატჩი. **საქართველოს ეროვნული ნაკრები- ბელორუსი.** (ქუთაისის ცენტრ/სტადიონიდან) 20.00 ტ/სერ. **"ელემენტარული"** 21.30 "აქტუალური თემა მაკა ცინცაძესთან ერთად" 23.15 დოკ/ფ "თოფ-გიარი" 00.25 მხ/ფ **"სიჩუმე"** (ჯ. ლენგი) 05.00მხ/ფ **"დაცარიელებული ქალაქი"** (ლ.ტაილერი)

06.30, 16.00 სერ. **"ტყუილი"** 07.30, 08.15, 09.20 იმედის დილა 08.00, 09.00, 11.00, 14.00, 17.00, 19.00, 20.00, 03.45 ქრონიკა 10.10, 14.40 სერ. **"ელიფი"** 11.20 სერ. **"ფიცი"** 12.30 იმედის დღე 17.35 სერ. **"ქალაქის გული"** 18.50, 19.03 სერ. **"მოპარული ცხოვრება"** 21.00 სპორტი 21.08 ამინდი 21.10 სერ. **"დედა"** 22.00 ნიჭიერი 00.30 მხ/ფ **"ყველაზე ბრაზიანი კაცი ბრუკლინში"** 02.15 მხ/ფ **"მეცამეტე რაიონი 2"** 04.00 მხ/ფ **"ვარსკვლავების რუკა"**

06.00, 18.50 სერ. **"დესპოტი ქმარი"** 07.00, 20.03 სერ. **"დედამთილი"** 07.30, 07.40, 08.10, 08.35, 09.15 დილამშვიდობისა საქართველო 07.35, 08.00, 08.30, 09.00, 10.00, 12.00, 15.00, 18.00, 20.00, 21.00 კურიერი 10.15 სერ. **"მფარველი ანგელოზი"** 12.30 "სხვა შუა დღე" 13.55 სერ. **"ფერიჰას საიდუმლო"** 15.30 სერ. **"მზიანი დღეები"** 16.55 სერ. **"ზზარი"** 22.00 სერ. **"ჩემი ცოლის დაქალები"** 23.15, 00.00, 01.00 მხ/ფ 01.30 კურიერის დაიჯესტი 02.00 მხ/ფ

**GDS** 08.00 ან/ფ **"ვარსკვლავური ომები"** 09.00 სერ. **"შავი კოდი"** 11.00 მხ/ფ **"ველური"** ველური დასავლეთი" 13.00 სერ. **"ჩიკაგოს მეხანძრეები 4"** 17.00 სერ. **"სამხედროების ცოლები-3"** 19.00 სერ. **"ცისფერი სისხლი-5"** 21.00 სერ. **"სპირალი 5"** 22.30 მხ/ფ **"ზღვარს მიღმა"** 00.30 მხ/ფ **"მღვდელი"** 02.10 მხ/ფ **"შავი მოქცევა"** 04.10 მხ/ფ **"მამაცი"**

**tv პირველი** 7.55 ან/ფ 8.00 საქმიანი დილა 11.00 ქალების ნარატივი 12.00 სერ. **"ცხოვრების გზა"** 13.00, 17.00, 22.00 საინფორმაციო გამოშვება - NEWS 13.40 უცხოეთის ამბები 14.00, 16.00 დიანა ტრაპაიძის დღის ამბები 15.00, 22.30 საქმის კურსი 17.50, 0.00, 2.00, მხ/ფ 20.00 ხალხის პოლიტიკა 23.00 მოგზაურობა გიორგი გაბუნიასთან ერთად 23.30 ღალატი

**იბერია** 08.00 ანანდა 08.10 მულტფილმი 08.20 მულტ/სერ. "დინოფროზი" 09.00 სერ. **"ზანდოლერა"** 10.40, 11.40, 12.40, 20.55, 22.55 ტელემარკეტი 11.00, 13.00, 17.00, 19.00, 23.40, 04.40 ახალი ამბები 12.00, 2.00 ბიზნესკოდი 14.30 ექიმის საათი 15.00, 01.30 მოდი გავეყაროთ 16.00, 2.40 ფაბრიკა 18.30 სერ. **"ყველაფერი ცხოველების შესახებ"** 19.55 მე რომ ვიყო 20.00 თოქ შოუ "ცენზურის გარეშე " 21.00 სერ. **"გაქცეულები"** 22.00 სერ. **"ჯადოსნური ამბავი"** 23.00 პანორამა 00.00 მხ/ფ **"ტყუილი და ილუზია"** 3.40 ცენზურის გარეშე

